# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 20 ივლისი 2007 №165 (3088) ფასი 50 თეთრი


# დინამომ ვადუცი წაიგდო

# 2:0:2





# ამერს ომი მართებს



# უეფას თასი 2007–2008

## პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი

# ორმაგი სტანდარტი

## შეცდომები და ბელხატუვი თბილისში უნდა გასწორდეს

კობა ინასარიძე ბელხატუვიდან

ბელხატუვი. 19 ივლისი. 22.45 საათი. გკს ბელხატუვი. 4 500 მაყურებელი

**გკს ბელხატუვი 2:0 ამერი**

1:0, 2:0 პიეტრაშიაკი (51, 83)

| გკს ბელხატუვი | ამერი |
|---|---|
| გკს ბელხატუვი: ლეხი, პოპეკი, კეკოტი, კოვალჩუკი, სტოლარჩუკი, პიეტრაშიაკი, იარჯებოვსკი, სტრაკი, ვრობელი (მარჩინიაკი 89), რაჩვალი, კოსტლი (უჯეკი 83) | ამერი: ქვაჩახია, დავითნიძე (კობაური 90), ხვადაგიანი, დიდავა, ჯელაძე, ჩიკვილაძე, ბოლქვაძე, დოლიძე (შალამბერიძე 75), დობროვოლსკი, რ. გოცირიძე, ს. დავითაშვილი (ტატანაშვილი 62) |
| სათადარიგონი: შაპელა, მაგდონი, კომოროვსკი, ტოხიკი, გროძიცკი | სათადარიგონი: ნადირაშვილი, ელბაქიძე, კაკაშვილი, დეკანოსიძე |
| მწვრთნელი: ორესტ ლენჩიკი | მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე |

გაფრთხილება: ჩიკვილაძე (36), იარჯებოვსკი (71), დავითნიძე (86), ხვადაგიანი (90)

მსაჯები: ტ. შაპრონი; ჟ. იზო, ლ. უგო; ა. გოტიე (ყველა საფრანგეთი)

უეფას დელეგატი: ვ. ანტონოვი (მაკედონია)

### მატჩამდე

**...მატჩის** დაწყებამდე 45 წუთით ადრე „გკს ბელხატუვის“ სტადიონის ტრიბუნები სანახევროდაც არ შევსებულა, კარგი ამინდია და მასპინძელთა ქომაგობაც სტადიონის ახლო-მახლო ლუდხანებშია და თავისუფალ ადგილებს ალბათ მატჩის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე თუ შეავსებენ.

...ჩვენებმა უკვე მოთელვაც დაიწყეს და ტრიბუნებზე მყოფთა მისალმებაც მიიღეს. „ამერის“ ძირითადი შემადგენლობა, ცხადია, უკვე ვიცით — გიორგი ჩიხრაძე ნაჩვევ ტაქტიკურ განლაგებას არ ღალატობს — თავდასხმაში სულიკო დავითაშვილი და რევაზ გოცირიძე ითამაშებენ. მათ გარდა კი ოთხ-ოთხი მცველ-ნახევარმცველი იქნება.

„ყვითლები“ მოთელვას შეუდგნენ და, აგერ, „ბელხატუვიც“ გამოჩნდა, რა თქმა უნდა, ტრიბუნებიც უფრო ახმაურდნენ და ჩანს, ნელ-ნელა „ოქოქდებიან“. ამასობაში შემადგენლობებიც ჩამოარიგეს, „ბელხატუვის“ ძირითადში არ არიან გარგულა, ნოვაკი და ხვალიბოგოვსკი, ხოლო უჯეკი სათადარიგოებში 25-ე ნომრითაა.

აქვე პირველი რეპლიკაც პრესლოჟაში — ამ ფეხბურთელების გარეშე „ბელხატუვს“ გაუჭირდება... ადგილობრივი ინფორმატორი კი ქომაგობას „ამერის“ შესახებ დაწვრილებით ინფორმაციას აწვდის, ლაპარაკობს „ამერის“ წარმატებებსა და შედეგებზე, იხსენებს „ვისლა“ — „დინამოს“ დაპირისპირების ამბავსაც...

ამასობაში „ამერი“ ნელ-ნელა გასახდელის გზას გაუყვა, ხოლო სტადიონის ერთ-ერთ სექტორში 20-30 ქართველიც გამოჩნდა, ფრიალებს ხუთჯვრიანი დროშები, ისმის „ბელხატუვის“ საკლუბო ჰიმნიც. ქომაგობა კი შავ-მწვანე-თეთრად შეფერილი მაისურებითა და შარფებით ფეხზე წამოდგა...

კიდევ რა ხდება, არ გაინტერესებთ?! ცენტრალურ ტრიბუნაზე საქართველო ხუთჯვრიანი დროშებია გამოფენილი — არც ერთი ქართული გუნდისა და არც ქვეყნის ნაკრების ოფიციალური მატჩებისას ასეთი არსად მინახავს...

### მატჩი

გუნდები უკვე მოედანზე არიან და ფრანგი არბიტრის სასტვენის ხმაც გაისმა. თამაში მასპინძლებმა დაიწყეს... ტრიბუნებს კი ფანობა შემოემატა და იქაურობა უფრო დაიმუხტა...

ჯერჯერობით პოზიციური ბრძოლაა, მეტოქეები ფრთხილობენ, მასპინძლები უმალვე შტურმს მოერიდნენ, თუმცა მე-6 წუთზე კოვალჩუკმა ქვაჩახიას სახიფათოდ კი დაურტყა, ხოლო სამი წუთის შემდეგ „ბელხატუვის“ მეკარე ლეხმა გოცირიძის თავური კუთხურზე მოიგერია.

რევაზ გოცირიძე გამოკვეთილი ფორვარდის პოზიციაზე თამაშობს. სულიკო დავითაშვილი მის უკან მოქმედებს და ნახევარდაცვასაც ეხმარება...

ჯერჯერობით საინტერესო არაფერი ხდება, მასპინძლები უპირატესობის მოპოვებას ვერ ახერხებენ. თბილისელები მეტოქეს მჭიდროდ ეთამაშებიან. „ბელხატუვი“ ფონს გასვლას მეტწილად „ამერის“ საჯარიმოში ჰონდურასელი კარლო კოსტლის მისამართით ჩაწოდებებით ცდილობს, ამ თავდამსხმელმა ერთი-ორი ბურთი კი მოიგო, თუმცა ამას გაგრძელება აღარ მოჰყოლია.

„ყვითლები“ აულელვებლად ათამაშებენ ბურთს და აგერ უკვე მესამე კუთხურის უფლება მოიპოვეს. გაათამაშეს, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

მარცხენა მცველი თენგიზ ჩიკვილაძე მსაჯმა მატჩის პირველ წუთებზე სიტყვიერად გააფრთხილა და ახლა ყვითელი ბარათიც უჩვენა. გიორგი დავითნიძესა და კოსტლის შორის ორთაბრძოლა 7-10 წუთია, ჩვენიანის უპირატესობით მთავრდება, ჰონდურასელს უკვე მრამდენედ ბურთი არ მიუღია. დავითნიძე ბელხატუველს დასწრებაზე ეთამაშება და მოგებული რჩება...

მეოთხე მსაჯი ტრიბუნებს აჩვენებს, რომ არბიტრმა ძირითად დროს ერთი წუთი დაამატა, დავითაშვილმა და დოლიძემ კი მასპინძელთა მეკარე აანერვიულეს და ტაიმიც აქ დამთავრდა.

ჯერჯერობით ყველაფერი კარგადაა. „ბელხატუვს“ ჩვენების კართან მომენტი არ შეუქმნია და არც ისეთი გუნდი ჩანს, „ამერმა“ სასურველი შედეგი ვერ მიიღოს. „ყვითლების“ დაცვა და შუა ხაზი დალაგებულად, მშვიდად თამაშობს, ბევრს მოძრაობს დავითაშვილი, რომელსაც, როგორც ჩანს, მოედნის ცენტრში ბურთის მიღება და შენარჩუნება ევალება, რაც ხან გამოსდის, ხან არა... შთაბეჭდილება იქმნება, რომ მასპინძლები ამერელთა გააქტიურებას და იქით გამოჭერას ცდილობენ.

ამ წუთებში გიორგი ჩიხრაძე და ორესტ ლენჩიკი შეგირდებს მეორე ტაიმში სათამაშოდ ამზადებენ და ვნახოთ, როგორ იქნება...

ერთი კია, „ბელხატუვმა“ მარჯვენა ფლანგიდან რამდენიმე შეტევა წამოიწყო, რაც საჯარიმოში ჩაწოდებით დამთავრდა და ჩიხრაძეც ალბათ თავის მემარცხენეებს, ჩიკვილაძეს და ჯელაძეს მეტი ყურადღებით თამაშს მოსთხოვს.

მეორე ტაიმი დაიწყო, შეცვლები არც ერთი გუნდის შემადგენლობაში არ არის. ბურთი ცენტრში გოცირიძემ და დავითაშვილმა გაათამაშეს.

ერთი-ორი წუთი „ამერმა“ ბურთი კარგად გაათამაშა, შემდეგ კიტომაშ ვრობელმა კუთხური ჩააწოდა, ბურთი მცველების და თავდამსხმელების უკან, შორეულ ძელთან ჩაეშვა, სადაც პიეტრაშიაკის ხელისშემშლელი არავინ აღმოჩნდა, მანაც შეუჩერებლად დაარტყა და გაიტანა — 1:0.

თამაშის საერთო სურათი თითქოს არანაირად არ შეცვლილა, თუმცა, სამწუხაროდ, სტუმართა ელემენტარული შეცდომის შედეგად მასპინძლებმა მაშინვე ისარგებლეს...

მოედნის განაპირას კი დიმიტრი ტატანაშვილი გამოჩნდა, თბილისელთა მწვრთნელი შეცვლას ამზადებს. ტატანაშვილი შეცვლებზე ძალიან ხშირად წარმატებით თამაშობს და იმედია, ამჯერადაც ასე იქნება. ტატანაშვილმა დავითაშვილი შეცვალა. ამერელთა რიგებში არანაირი ტაქტიკური გადაადგილება არ მომხდარა... თუმცა, აი, ძალიან სახიფათო მომენტიც — მასპინძელთა ბედად, ნახტომში ტატანაშვილის თავური ძელს გარედან გაეხახუნა. საგოლედ ჩინებული შანსი იყო.

ჩიხრაძე კიდევ ერთ შეცვლას აპირებს, მან კობა შალამბერიძეს უხმო და ალბათ გრიგოლ დოლიძის ნაცვლად ათამაშებს. დიახ, შალამბერიძემ მარჯვენა ჰავბეკის პოზიცია დაიკავა და ეგებ ჩვენების შეტევები ასე უფრო გამწვავდეს...

მატჩის დამთავრებამდე ათი წუთი დარჩა, მოედანზე კი აღსანიშნავი არაფერი ხდება. სცენარი იგივეა. ბურთი ხშირად გადადის მეტოქისგან მეტოქისკენ, მეკარეებს მაინცდამაინც ბევრი საქმე არ აქვთ.

აქ კი ლენჩიკი შეცვლას აკეთებს, მეორე ტაიმში აშკარად პასიური კოსტლის ნაცვლად უჯეკი შეჰყავს.

„ბელხატუვი“ ჯარიმის შესასრულებლად ემზადება. პაველ სტრაკის ჩაწოდებული ბურთი დაახლოებით ისევ იმ ადგილას ჩაეშვა, საიდანაც პიეტრაშიაკმა პირველი გოლი გაიტანა. ახლაც იგივე მოხდა — პიეტრაშიაკის დარტყმული ბურთი ისევ იქ აღმოჩნდა, სადაც მანამდე — მისგან ახლო კუთხეში — 2:0.

„ამერს“ რამდენჯერმე შეეძლო მეტოქისთვის სახიფათო შეტევით ეპასუხა და ეგებ ერთი და ძალიან მნიშვნელოვანი გოლიც გაეტანა. მაგრამ მასპინძელთა მცველები კეკოტი და პიეტრაშიაკი ყურადღებით თამაშობნ.

სამი დამატებული წუთიც და თამაშიც დამთავრდა. თუმცა „ბელხატუვ“ — „ამერის“ დუელი არ დამთავრებულა. ორი კვირის შემდეგ მასპინძელი „ამერი“ იქნება. ახლა მთავარია, თბილისელებმა რწმენა არ დაკარგონ. „ბელხატუვი“ არაფრით გამორჩეული გუნდი არ არის და სრულიად შესაძლოა ორბურთიანი სხვაობის „მიხეილ მესხზე“ გაბათილება. სადღეისოდ კი, 2:0 „ბელხატუვის“ სასარგებლოდ...

### ნამატჩევს

*გიორგი ჩიხრაძე:* ვულოცავ მეტოქეს — ევროთასებზე დებიუტი ჰქონდა და პირველივე მატჩი მოიგო. საინტერესო და დაძაბული თამაში იყო. მართალია, 0:2 წავაგეთ, მაგრამ საპასუხო მატჩი გველის და მომდევნო ეტაპზე გამსვლელის ვინაობაც მაშინ გაირკვევა. დარწმუნებული ვარ, თბილისშიც არანაკლებ საინტერესო თამაში იქნება. რატომ არ დავაყენე ტატანაშვილი ძირითადში? ასე ჩავთვალე საჭიროდ და იმიტომ.

*ედვარდ კეკოტი:* ჭკვიანურად ვითამაშეთ, შანსს დაველოდეთ და შედეგიც მივიღეთ. 2:0 კარგი ანგარიშია, მაგრამ ეს მომდევნო ეტაპზე გასვლას ჯერ არ ნიშნავს. თუმცა ისიც ფაქტია, რომ კმაყოფილები ვართ. „ამერმა“ რამდენჯერმე კი შემოგვიტია, მაგრამ დაცვაში კარგად ვითამაშეთ. ბედნიერი ვარ, რომ ჩვენი ევროდებიუტი წარმატებული გამოდგა.

— სტანდარტულებს ყოველთვის ასე შედეგიანად ასრულებთ ხოლმე?

— ხან როგორ და ხან როგორ. სტანდარტულებიდან ადრეც გაგვიტანია, თუმცა, ცხადია, ისეც მომხდარა, რომ ვერ გამოგვიყენებია. ამჯერად ყველაფერი კარგად გავაკეთეთ და ყოჩაღ პიეტრაშიაკს, რომელიც ორივე ეპიზოდში ბურთს საჭირო ადგილზე დახვდა.

*გიორგი დავითნიძე:* თანაბარი თამაში იყო, ბურთი „ბელხატუვს“ კი ჰქონდა, მაგრამ ასეთი ანგარიშით მაინც არ უნდა წაგვეგო. ორი უხეში შეცდომა ამად დაგვიჯდა და ახლა ყველაფრის გამოსწორებას თბილისში უნდა ვეცადოთ.

— მაინც რისი ბრალი იყო დღევანდელი მარცხი?

— სითამამე გვაკლდა. უფრო თამამად უნდა შევეტია.

— ბოლო წუთზე ტრავმის გამო შეგცვალეს და რაიმე სერიოზულია?

— მეტოქემ იდაყვი განგებ ჩამარტყა ცხვირში, მაგრამ საშიში არაფერია. ახლა კარგად ვარ.



გიზო ჩელაძე პოლონურ ალყაში



ტომაშ იარჯებოვსკის ზურაბ ქვაჩახიამ დაასწრო

# უეფას თასი 2007–2008

## პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი

# დინამომ გაძლებას მოუგო დახმარება გაბონიდან



თბილისი. 19 ივლისი. 18 საათი. მიხეილ მესხი. 2 000 მაყურებელი

**დინამო 2:0 ვადუცი**

1:0 მერებაშვილი (66პ), 2:0 აკირემი (73)

| | |
|---|---|
| **დინამო:** ოვონო, შ. კაშია, ზელიჩი, კრშკო, დობეში, ხმალაძე, დილმელაშვილი, ოდიკაძე (ფეიქრიშვილი 57), კობახიძე (სპასოევიჩი 79), გ. მერებაშვილი, აკირემი (ხუციშვილი 83). სათადარიგონი: ლორია; თომაშვილი, გ. კაშია, ფირცხალავა. **მწვრთნელი:** დუშან უჰრინი | **ვადუცი:** სომერი, ალასტრა, გროსკლაუსი (ვიზორეკი 67), ლენგლი (როჩერი 77), რაინმანი (აკდემირი 71), მაგეტი, გომბიჩი, რიცერბერგერი, ჩერონე, შტურმი, პოლვერინო. სათადარიგონი: ვიუტრიხი; ჰასლერი. **მწვრთნელი:** ჰაინც ჰერმანი |

**გაფრთხილება:** ჩერონე (33)

**მსაჯები:** შ. საპი, პ. პეგუი, ზ. ვარგა, ტ. ბოგნარი (უნგრეთი)

**უეფას დელეგატი:** ს. იონილი (თურქეთი)

**ილია ნანობაშვილი**

...**62-ე წუთი** იყო, „დინამოს" დაცვას მუქკანიანი იოან ლენგლი გაეპარა და გაბონელმა მეკარე დიდიე ოვონომ გუნდი გადაარჩინა, ვინაც ჯერ ლენგლის ახლოდან დარტყმული მოიგერია, დამატებულზე კი მიკელე მაგეტის გასროლილსაც მისწვდა.

ძალიან გაცვეთილი ნათქვამი კია, მაგრამ „ვერ გაიტან, გაგიტანენ" ამოქმედდა, „დინამომ" ამის მერე მოუჭირა მარწუხებს და მანამდე სტვენით დაკავებულ გულშემატკივრებს ტაში გამოსტყუა — ლაზათიანად მოთამაშე გიორგი მერებაშვილმა და გაბონელმა ფორვარდმა ჟორჟ აკირემიმ თითო გოლი გამოჩარხეს, რაც წესით და რიგით, დინამოელებს მომდევნო ეტაპზე გასასვლელად უნდა ეყოთ, მაგრამ უკვე ისე ვართ დაშინებულნი, „წესი და რიგი" ხშირად ვერ წესობს და რიგობს — 3:0-ის განიავებაც გვახსენდება, თანაც არცთუ შორეულ წარსულში...

დუშან უჰრინმა ნაცადი ტაქტიკით ათამაშა „დინამო". ჩეხი მარცხენა მცველი რომან დობეში, მეკარე ოვონო და ცენტრფორვარდი აკირემი — სამივე ახალი ლეგიონერი ძირითადში იყო და დობეშს თუ მაინცდამაინც დიდი საქმე არ ჰქონია, ოვონოს ყოჩაღობა უკვე ვახსენეთ, ხოლო აკირემის წუნი კი ჰქონდა, მაგრამ ჯანმაგრობით და სისწრაფით მაინც გაჰქონდა თავი „ვადუცის" მცველებში, აკი გოლიც სწორედ ასე გაიტანა.

პირველი საგოლე მომენტი სწორედ გაბონელ თავდამსხმელს ჰქონდა, როცა მეკარის ხელიდან გავარდნილ ბურთს მახვილ კუთხეში დაუხვდა, აქედან კარში დარტყმაც შეიძლებოდა, მაგრამ აკირემიმ სანდრო კობახიძეს დაუგორა, ვისაც სტუმართა მცველები მატროსოვივით გადაეფარნენ.

„დინამოს" ბურთი კი ეჭირა, მაგრამ მწვავე შეტევები ვერ გამოსდიოდა, ტემპიც დაბალი იყო და არასწორი გადაწყვეტილებანიც თვალშისაცემი. ყველაზე მოუსვენარი მერებაშვილი გახლდათ, ვისაც ვადუცელები მხოლოდ წესების დარღვევით თუ აჩერებდნენ და ზოგჯერ ამასაც ვერ ახერხებდნენ. ერთიც, აშკარად ვერ იჩაუქეს „დინამოს" შემტევმა ფლანგელებმა — კობახიძე ჩემპიონატში გაცილებით უკეთესი იყო, დავით ოდიკაძე კი ვერა და ვერ გაექცა თავის მეურვეს და უჰრინმაც არ დაახანა ცვლილება, სამარქაფოდ დარჩენილმა გიორგი ფეიქრიშვილმა უკეთ იბურთავა.

ჰო, პირველ ტაიმში შოთა კაშიას აცილებული თავური და მერებაშვილის ორი გარღვევა იყო გამოსარჩევი, ერთხელ კი „ვადუცმაც" წაუჩხვლიტა, როცა მაგეტიმ „დინამოს" დაცვის აჭრილობით ისარგებლა, მარჯვნიდან შეიჭრა და ბედი, რომ ღრუბლებში გაგზავნა ბურთი...

„ვადუცზე" კი იმას ვიტყვით, რომ კრუხივით არ შებუდებულა თავის საჯარიმოში, აქა-იქ ხანგრძლივ პრესინგსაც მიმართავდა და საერთოდ, ლიხტენშტაინელები ბურთთან ახლოს იყვნენ — მოკლე პასები კარგად გამოსდიოდათ. კლასზე რა გითხრათ და, „ვადუცი" კარგად ნასწავლ ფეხბურთს თამაშობს.

და მაინც, მეორე ტაიმის შუიდან ყველაფერი თავის ადგილზე დადგა: მერებაშვილმა კობახიძესთან ფლანგზე გაითამაშა ბურთი, ჯიქურ დაიძრა საჯარიმოსკენ, ერთ მცველს გასცდა და მეორემ ფეხი გამოსდო. გიორგიმ თავად გაიტანა პენალტი და ალალიც იყო, გოლი ნაღდად ეკუთვნოდა — 1:0.

ისიც ვთქვათ, რომ მერებაშვილი მანამდე ორჯერ ითხოვდა პენალტს და მესამე ჯერზელა დაასტვენინა მსაჯს.

73-ე წუთზე კი „დინამომ" მეორედ გაიხარა, როცა მერებაშვილის პასს აკირემიმ სდია, მცველთან ჯაჯგურში იმარჯვა და მეკარესთან თვალითვალ გასწორებულმა ცაციათი ცხრიანს დაუმიზნა — 2:0.

სადაც წვრილია, იქ გაწყდესო და, „დინამო" მესამეს გასატანად გაიწია, მაგრამ ფეიქრიშვილმა ცარიელ კარს გადააცილა.

ბოლოსკენ კი ტემპმა იკლო, მაგრამ „ვადუცმა" ორჯერ მაინც გამოაჩინა ბრჭყალები: ჯერ ოვონომ მოიხელთა ბურთი, მერე კი გაიტანეს სტუმრებმა, მაგრამ თანამსაჯი საოფსაიდო ალამს აფრიალებდა.

შთამბეჭდავი არ ეთქმის „დინამოს" მოგებას, მაგრამ აშკარად ჩანდა, რომ გუნდს რესურსი გააჩნია — პირველ რიგში კი, ტემპია საჭირო, თორემ რასაც „ვადუცმა" ვერ გაუძლო, სხვები გაუძლებენ...

## პრესკონფერენცია

**ჰაინც ჰერმანი:** 60-65 წუთი გავუძელით, მერე კი „დინამოს" გამოცდილებამ და კლასმა თავისი გაიტანა. წაგების მიუხედავად, უკმაყოფილონი არ ვართ. ვცდილობდით აგრესიულად თამაშს, რაც შეგვეძლო, ზონებსაც ვკეტავდით, მაგრამ „დინამო" ტექნიკური გუნდია და...

...ორი კვირა დიდი დროა და, შესაძლოა, საპასუხო მატჩში რაიმე შევცვალო, მაგრამ მაინც ერთი რამისკენ მივდივარ: „დინამო" აშკარა ფავორიტი იყო და ახლა მით უმეტეს...

**დუშან უჰრინი:** მოსამზადებელი პერიოდის შემდეგ პირველი ოფიციალური მატჩი გვქონდა და, ცხადია, სასურველ ფორმაში ჯერ არ ვართ. სამწუხაროდ, საგოლე მომენტების გამოყენებაც გვიჭირს...

...დაცვას რომ შეცდომები ჰქონდა, იმის ბრალია, რომ დობეში და ოვონო ახალი მოსულები არიან გუნდში — ენის პრობლემა აქვთ და, შესაბამისად, შეთამაშება აკლიათ... გიორგი მერებაშვილმა პირველ ტაიმში იმდენად ვერა, მეორეში კი ძალიან კარგად ითამაშა, თავის თავზე ილებდა თამაშს და საბოლოო ჯამში მშვენივრად გაისარჯა...

...არავის ეგონოს, რომ „ვადუცი" უკვე გავაგდეთ, სტუმრად მობილიზებულნი ჩავალთ.





ტორე აკირემის პირველი დინამოური გოლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რამდენი კაცი გავიყვანო მოედანზე? ვარლამ კილასონიამ თავისიც იცის და სხვებსაც ურჩევს



**გუშინ** რუსთავის „ოლიმპმა“ „ასტანასთან“ საშინაო მატჩის შემდეგ პირველად ივარჯიშა. საპატიო მიზეზით არ იყო მეკარე მირზა მერლანი, გუნდს დაუბრუნდა ლაშა ქებაძე, მაგრამ ახლა გელა ხუბუა აპირებს „ოლიმპის“ დატოვებას — ხუბუამ ვარჯიშს ტრიბუნიდან უყურა.

სანამ ვარჯიშს დაიწყებდა, მწვრთნელი ვარლამ კილასონია ფეხბურთელებს 15 წუთი ესაუბრა. ცხადია, თემა „ასტანასთან“ პირველი მატჩი იყო. ძუნძული, გაწელვები, კვადრატი, პრესინგი, კარში დარტყმა, ორკარა — ვარჯიშმა საათსა და ორმოც წუთს გასტანა. ვარჯიშისას კლუბის ხელმძღვანელები, ბადრი ქარქაშაძე და ზურაბ ჯაფარიძე გამოჩნდნენ და გელა ხუბუას უვარჯიშებლობის მიზეზი ჰკითხეს, ფეხბურთელმა კი უპასუხა, „ასტანასთან“ მწვრთნელმა არ მათამაშა და გულდაწყვეტილი ვარო. ჩვენ კი ხუბუამ გვითხრა, ჯერ ზუსტად არ ვიცი, მაგრამ, სავარაუდოდ, „ოლიმპიდან“ წავალო.

ვარჯიში დასრულდა, მწვრთნელებმა და კლუბის ხელმძღვანელებმა კარგა ხანს ისაუბრეს, შემდეგ კი კილასონიამ ჩვენთვისაც მოიცალა...

— „ასტანასთან“ მატჩი უკვე გაანალიზებული გექნებათ. მაინც რატომ ვერ მოიგო „ოლიმპმა“?

— თავდამსხმელებმა რამდენიმე ეპიზოდში ვერ ივარგეს. ხან იჩქარეს და ვერ გაიტანეს, ხანაც პირიქით, დააგვიანეს სწორად მოქმედება. ჩვენ ახლადშეკრებილი გუნდი ვართ და შეთამაშება გვაკლია. განა არ ვიცით, რომ ერთ თვეში იდეალური გუნდი როგორ გაკეთდება?! ვარლამ კილასონია თავს არ იმართლებს, პირველ რიგში საკუთარ თავში ვეძებ მიზეზს და ვფიქრობ, რამე ხომ არ შემეშალა. მე პასუხისმგებლობას არასდროს გავქცევივარ.

— „ასტანასთან“ რამდენიმე ფეხბურთელი ბურთს ზედმეტად ათრევდა...

— გეთანხმებით, ასე იყო და ეს იყო სათამაშო დისციპლინის დარღვევა. დღეს ამ ფეხბურთელებს ვესაუბრე და მომდევნო მატჩში ამას აუცილებლად გამოასწორებენ.

— პირველი ნახევრის შემდეგ ერთ-ერთი საუკეთესო ვლადან ჟივკოვიჩი მოედნიდან გაიყვანეთ...

— პრესკონფერენციაზეც ვთქვი და ახლაც ვამბობ: ჟივკოვიჩმა თვითონ მთხოვა, დავიღალე და გამომცვალეო. სერბი ნახევარმცველი, ჩემი აზრით, „ოლიმპში“ ყველაზე სწორ ფეხბურთს თამაშობს და საპასუხო შეხვედრაში მისი მეიმედება.

— შეცვლაზე შესულ ფეხბურთელებზე რას იტყვით?

— რეზო ჯიქიას ორჯერ შეეძლო გატანა. ალეკო კომკაძე ცუდად არ შესულა და არც ბოდრი მასუანგას ვემდური.

— დღეს გუნდთან ერთად იყო ლაშა ქებაძე, არადა, პრესკონფერენციაზე თქვით, რომ იგი გუნდიდან წავიდა. გელა ხუბუა წასვლას აპირებს. ბევრმა შენიშნა, მატჩის დროს როგორ გაბრაზდა გიორგი კახელიშვილი, როცა მოედანზე შესვლის იმედი გადაეწურა. რა ხდება?

— მესმის, რომ ფეხბურთელს თამაში უნდა, მაგრამ ისიც ცხადია, ყველა ვერ ითამაშებს. ვინც კონკრეტული მატჩისთვის მზად არის, იმის მიხედვით ვარჩევ შემადგენლობას და „ასტანასთანაც“ ასე იყო. ჩემი რჩევა იქნება, ამ ფეხბურთელებმა თავი დახარონ და იშრომონ, არავის არაფერს დავუკარგავთ.

— ფაქტია, „ასტანას“ უპირატესობა აქვს — რუსთავიდან სასურველი შედეგი წაიღო...

— რა თქმა უნდა, ასეა, მაგრამ „ოლიმპი“ კუშტანაიში დიდ ბრძოლას გამართავს და ადვილად არაფერს დათმობს.

— ყაზახეთში როდის მიდიხართ?

— 23 ივლისს ჩარტერული რეისით მივფრინავთ.

**ნუკრი ლოლაძე**

# არველაძემ ლევანტე გაიცნო და დაიმედა



**ესპანური** „ლევანტეს“ ახალწვეულ შოთა არველაძეს ოფიციალური პრეზენტაცია რომ მოუწყვეს, გუშინდელ „სარბიელში“ გამცნეთ. საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელმა ესპანეთში პირველი პრესკონფერენციაც გამართა და ვნახოთ, რა უთხრა მან იქაურ ჟურნალისტებს...

„პრიმერადივიზიონი ერთ-ერთი საუკეთესო ჩემპიონატია მსოფლიოში და მოხარული ვარ აქ გადმოსვლით. „ლევანტე“ ჩემით შარშანაც იყო დაინტერესებული და ამას იმით გამოვხატავდი, რომ ეს გუნდი შარშანდლიდან ჩემად ვიგულე, რეგულარულად ვადევნებდი თვალს მის თამაშებს და ძალიან გამიხარდა, როცა პრიმერაში ადგილი შეინარჩუნა“ — განაცხადა არველაძემ.

პრესკონფერენციის შემდეგ არველაძე კლუბის დირექტორატის წევრმა ინაკი აუსპურუამ და პრესმდივანმა ხორხე ლუკასმა სან ლეონარდო დე იაგეში წაიყვანეს, სადაც „ლევანტე“ ახალი სეზონისთვის ემზადება. ჩვენებურს საზეიმო ვახშამი მოუწყვეს და ფეხბურთელები გააცნეს.

გუშინ კი არველაძემ პირველი ოფიციალური ვარჯიში ჩაატარა აბელ რესინოს გუნდში.

ნავარჯიშევს ქართველ თავდამსხმელზე თავისი აზრი იტალიელმა ვეტერანმა დამიანო ტომაზიმ გამოთქვა: „არველაძე დიდი გამოცდილების მქონე ფეხბურთელია, ვფიქრობ, მას გუნდთან შეწყობა არ გაუჭირდება. ეტყობა, რომ მას გოლის გატანის ყველანაირი შნო აქვს და ყოველთვის ბურთს ეძებს. შოთას გამოცდილება გუნდს სარგებელს აუცილებლად მოუტანს.“

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ასათიანი მზადაა: გამიშვით წინ!

**საქართველოს** ნაკრებისა და მოსკოვის „ლოკომოტივის“ უნივერსალმა მალხაზ ასათიანმა რკინიგზელთა შემადგენლობაში მის ძველ პოზიციაზე — თავდამსხმელების უკან — ბოლოს ორი წლის წინ ითამაშა. მაშინ „ლოკომოტივმა“ 4:0 მოუგო გროზნოს „ტერეკს“.

„ლოკოდან“ დმიტრი ლოსკოვის წასვლის შემდეგ ანატოლი ბიშოვეცმა ქართველი ჩვეულ პოზიციაზე დააბრუნა და ისიც აღნიშნა, ასათიანს ბევრი გაუცდა და ახლა მეტი სათამაშო დრო სჭირდება, რათა გაცილებით სარგებლიანი იყოსო.



თავად ფეხბურთელის თქმით კი, შეტევაში ყოფნას გადაჩვეული იყო და გადაწყობა მოუხდა, თავის თამაშს კი საშუალოდ აფასებს.

„სიმართლე გითხრათ, უჩვეულოდ ვგრძნობდი თავს, ამ პოზიციაზე თამაშს გადაჩვეული ვიყავი — გადაწყობა დამჭირდა. მწვრთნელის დავალებით, ტრაორესთან ახლოს უნდა მეთამაშა. ამ პოზიციაზე კი ბოლოს ორი წლის წინ ვიდექი...

–უკეთაც შემეძლო, ამიტომ ჩემს დამაკმაყოფილებლად შევაფასებ. რაც შეეხება შეცვლას, დავიღალე, ამდენი ხნის უთამაშებლობამ თავისი კვალი დამამჩნია. დაცვაში ამხელა დატვირთვა არ მაქვს ხოლმე, ისე, მირჩევნია, მომავალშიც შეტევაში ვითამაშო“ — განუცხადა ასათიანმა რუს ჟურნალისტებს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ციმაკურიძემ ბურდულს მიაკითხა

**ლუგანსკის** „ზარია“ კიდევ ერთი ქართველით შეივსო — 23 წლის გიორგი ციმაკურიძემ კლუბთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ციმაკურიძე ლუგანსკელთა მეთერთმეტე ახალწვეულია. შეგახსენებთ: „ზარიაში“ საქართველოს ნაკრების წევრი ვლადიმერ ბურდულიც ჩაირიცხა.

ციმაკურიძეს უკვე ნომერიც გადასცეს — 18.

ერთ დროს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანმა შარშან სეზონი ალჩევსკის „სტალში“ დაიწყო, მეორე წრიდან მარიუპოლის „ილიჩევეცში“ გადავიდა, სადაც ძირითადად შეცვლებზე თამაშობდა. სეზონის ბოლოს კი კლუბის ხელმძღვანელობასთან უთანხმოება მოუვიდა და თავი დუბლებში უკრეს.

„ილიჩევეცმა“ გასულ სეზონში უმაღლესი ლიგა დატოვა...

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# კოპამ ბრაზილია ათამადა საქართველო სხვების ხარჯზე

„ფიფა-კოკა-კოლას“ ახალ რეიტინგში საქართველოს ნაკრებმა ორი ადგილით წაიწია, თუმცა ეს პროგრესი ჩვენების დამსახურება სულაც არაა — საქართველოს ივლისში არ უთამაშია, ამიტომ ისევ 337 ქულა დარჩა, ორი ადგილით დაწინაურება კი სხვა გუნდების რეგრესმა გამოიწვია.

ევროშესარჩევ ჯგუფში ჩვენმა მეტოქეებმაც შეიცვალეს ადგილები. პროგრესი მხოლოდ შოტლანდიას და ლიტვას აქვთ. მათ თითო საფეხურით აიწიეს — სკოტები 22-ე ადგილზე არიან, ლიტველები 78-ზე.

იტალიელებმა კი პირველობა დაკარგეს და მესამეზე არიან. შვიდთვიანი პაუზის შემდეგ ლიდერობა ბრაზილიამ დაიბრუნა, რაშიც ახლახან მოგებული „კოპა ამერიკა“ შეეშველა.

**Coca-Cola FIFA WORLD RANKING**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 3 | ბრაზილია | 1500 | | | | |
| 2 | 5 | არგენტინა | 1476 | 17 | 13 | უკრაინა | 973 |
| 3 | 1 | იტალია | 1368 | | | | |
| 4 | 2 | საფრანგეთი | 1357 | 22 | 23 | შოტლანდია | 895 |
| 5 | 4 | გერმანია | 1311 | | | | |
| 6 | 9 | პოლანდია | 1195 | 78 | 79 | ლიტვა | 400 |
| 7 | 11 | ხორვატია | 1192 | | | | |
| 8 | 6 | პორტუგალია | 1146 | 95 | 97 | საქართველო | 337 |
| 9 | 7 | ესპანეთი | 1144 | | | | |
| 10 | 26 | მექსიკა | 1142 | 188 | 186 | ფარერები | 18 |

I გრაფა – ადგილი; II – ადგილი წინა თვეში; III – ქვეყანა; IV – ქულა

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ყენიას ეშველა: შაბათს შალკეში!

**თბილისის** „ლოკომოტივის“ ნიჭიერი ნახევარმცველი ლევან ყენია შაბათს გერმანიაში მიდის. როგორც თავად გვითხრა, გელზენკირხენის „შალკესთან“ ჯერ პროფესიონალურ კონტრაქტს ვერ გააფორმებს, მაგრამ 19-წლამდელთა გუნდში თამაშის უფლება კი ექნება.

ყენია „ხუმარების“ 19-წლამდელებში თვენახევრის წინაც იყო. კონტრაქტი გაფორმება კი მისი არასრულწლოვანობის გამო ვერ ხერხდება — ლევანი ჯერ 16 წლისაა.

**ნუკრი ლოლაძე**

# ჩემპიონთა ლიგა 2007-2008
## პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები


ვაჟა თარხნიშვილმა და შერიფელებმა ანდორელებს აჯობეს


სარაევოელი მეგოლეები: ემირ ობუკა და ადმირ რაშიჩი

**პობედა** (მაკედონია) 0:1 **ლევადია** (ესტონეთი)
0:1 ზელინსკი (51)

**დუდელანჟი** (ლუქსემბურგი) 1:2 **ჟილინა** (სლოვაკეთი)
1:0 გრეგორიო (45პ), 1:1 ჟელი (47პ), 1:2 ლიეტავა (74)

**შერიფი** (მოლდოვა) 2:0 **რეინჯერსი** (ანდორა)
1:0 კუჩუკი (45), 2:0 გოროდეცკი (79)

**მარშაქსლოკი** (მალტა) 0:6 **სარაევო** (ბოსნია)
0:1, 0:2 რაშიჩი (5, 9), 0:3 ობუკა (20), 0:4 მაკსიმოვიჩი (41), 0:5 ობუკა (65), 0:6 ლიკარი (87ს.კ.)

**დომჟალე** (სლოვენია) 1:0 **ტირანა** (ალბანეთი)
1:0 იანკოვიჩი (45)

**დერი სიტი** (ირლანდია) 0:0 **პიუნიკი** (სომხეთი)

**ჰაფნარფიორდური** (ისლანდია) 4:1 **HB ტორსჰავნი** (ფარერები)
1:0 ბიარნასონი (10), 2:0 ვილიამსონი (12), 2:1 ნილსენი (43ს.კ.), 3:1 ოლაფსონი (51), 4:1 ვილიამსონი (57)

# ლიკარის კარი შეეშალა და...

**ანდორულ** „რეინჯერსს" ორი კაცი გაუძევეს, მაგრამ მოლდოვური „შერიფისგან" ორ გოლზე მეტი მაინც არ გაუშვა. სტუმართა მეკარე გრეგორიო როდრიგესმა მეთხუთმეტე წუთზე საჯარიმოს გარეთ ხელით ითამაშა და მსაჯმა მოედნიდან მიაბრძანა.

პირველი ტაიმის მიწურულსღა შეძლეს მასპინძლებმა ანგარიშის გახსნა — ალექსეი კუჩუკმა „შერიფი" დააწინაურა.

ათკაცა „რეინჯერსი" მეორე ტაიმში მაგრად იდგა და ევგენი გოროდეცკიმ თამაშის დასრულებამდე ათი წუთით ადრე შორიდან დარტყმით შეაგდო, მერე კი ანდორელებს ტებაც გაუძევეს, მაგრამ „შერიფმა" ცხრა კაცს მესამე ველარ გაუტანა.

საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩებში ყველაზე უხვგოლიანი „მარშაქსლოკისა" და „სარაევოს" შეხვედრა გამოდგა. ბოსნიის ჩემპიონებმა მალტელებს დაღლამდე გაუტანეს ორი, ხოლო როცა „მარშაქსლოკი" მეტოქის დევნით დაიქანცა, კიდევ ოთხი მიაყოლეს. მათ შორის ბოლო მალკოლმ ლიკარიმ საკუთარ კარში შეაგდო, თითქოს ხუთი საკმარისი არ იყო.

მალტურ გუნდებს საერთოდ ასე ემართებათ, თამაშის დასაწყისშივე თუ გაუშვეს, მერე რატომღაც ირევიან ხოლმე. მოკლედ, „პირველი გოლის ფაქტორია"...

„ჰაფნარფიორდურის" ფეხბურთელმა ტომი ნილსონმაც გაიტანა საკუთარ კარში, მაგრამ მისმა გუნდმა მაინც მოუგო „ტორსჰავნს". ისლანდიელები მე-12 წუთისთვის უკვე ორბურთიანი სხვაობით იგებდნენ.

ტაიმის მიწურულს ნილსონის ფეხმრუდობამ ცოტა გაურთულა საქმე, მაგრამ შესვენების შემდეგ ისევ „გამოაცხვეს" ექვსწუთიანი ორგოლიანი მონაკვეთი და ფარერელი მეზობლები ასე გაისტუმრეს.

სლოვენიის „დომჟალემ" ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციოში დებიუტი გამარჯვებით აღნიშნა, რაც სინიშა იანკოვიჩის შორიდან გატანილმა გოლმა მოუტანა. მან დაახლოებით 25 მეტრიდან შეაგდო ბურთი კონტრშეტევებზე მოთამაშე „ტირანას" კარში. ალბანელებს მასპინძელთა მეკარე რიგიანად ერთხელაც არ შეუწუხებიათ. შეცვლაზე შესულ სლავიშა დვორანჩიჩს ორჯერ შეეძლო გატანა, მაგრამ, ტირანელთა სასიხარულოდ, ასპროცენტიანი მომენტები ვერ გამოიყენა.

მაკედონიის „პობედა" ტალინელი ზელინსკის გოლით დამარცხდა, რომელმაც საჯარიმო დარტყმით გაიტანა. მასპინძლებს 74-ე წუთზე ნებოისა სტოიკოვიჩი გაუძევეს და დაცვაში კარგად მოთამაშე „ლევადიას" კაცნაკლულებმა ველარაფერი დააკლეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# იტალიელი რომ ვიყო, კაპელოს დავტოვებდი

**მადრიდის „რეალის" პრეზიდენტი რამონ კალდერონი ამერიკაში გახლდათ, სადაც იქაურ კომპანია SCP WORLDWIDE-თან საქმიანი ხელშეკრულება გააფორმა. პრეზენტაციაზე ესპანელი ჟურნალისტები „სამეფო კლუბის" ხელმძღვანელს ესაუბრნენ...**



**— „რეალში" არიენ რობენის სავარაუდო გადმოსვლის თაობაზე რას გვეტყვით?**

— სამწვრთნელო შტაბი რობენით ძალიან დაინტერესდა, ფეხბურთელსაც უნდა ჩვენთან გადმოსვლა და „ჩელსისთან" მოლაპარაკებას ვაწარმოებთ. საქმის დაჩქარება კი არ ივარგებს — არ გვსურს, ტრანსფერმა ფინანსური ზიანი მოგვაყენოს.

**— მეორე ჰოლანდიელი, „ფეიენოორდის" დრენტე „რეალს" მალე ჩამოაკითხავს?**

— „ფეიენოორდსაც" ვეკონტაქტებით, თუმცა დრენტეს ტრანსფერი მალე არ გადაწყდება.

**— გუნდი უკვე საკმარისად გაძლიერდა ახალი ფეხბურთელებით?**

— რაღაც საქმეები ჯერ კიდევ გვაქვს მოსაგვარებელი და ამისთვის თავდაუზოგავად ვმუშაობთ. გუნდით და ახალი მწვრთნელით კმაყოფილი ვარ. უნდა გვახსოვდეს, რომ „რეალი" ესპანეთის ჩემპიონია და შემადგენლობების გაძლიერება მეტოქე გუნდებს უფრო მართებთ, რათა ჩვენ მოგვიგონ... „რეალის" საშუალო ასაკი 23 წელია, ჩვენ ისეთი ფეხბურთელები ვიყიდეთ, რომლებიც მომავალი 6-7 წლის განმავლობაში გამოგვადგებიან.

**— „რეალში" ჟულიო ბაპტისტასთვის თუ მოიძებნება ადგილი?**

— ეს მწვრთნელის გადასაწყვეტია, ბერნდ შუსტერი კი ფიქრობს, რომ ბაპტისტა ძლიერი ფეხბურთელია. სავსებით მოსალოდნელია, იგი ჩვენთან დარჩეს. ჯერ ვერაფერს გეტყვით. აი, ისაუბრებენ შუსტერი და ბაპტისტა და ყველაფერი გაირკვევა.

**— თუ ბაპტისტას დატოვებაზე ფიქრობდით, ხავიერ სავიოლა რატომ იყიდეთ?**

— ესენი სხვადასხვა პოზიციაზე თამაშობენ. როგორც იცით, ბაპტისტა მოედნის ცენტრში თამაშობს, სავიოლა კი ფორვარდია.

**— მართლა გადაიხადა „რეალმა" პეპეს სანაცვლოდ 30 მილიონი ევრო?**

— ამ თანხას ითხოვდა „პორტუ" და ჩვენც გადავიხადეთ. ხოლო იმის გასაგებად, ეს ტრანსფერი ძვირია თუ იაფი, მოცდა მოგვიწევს. ისე, ორი წლის წინ, „სევილიას" სერხიო რამოსში ზუსტად იგივე თანხა გადავუხადეთ მაშინ, როცა ამ ფეხბურთელს პრიმერადივიზიონში თავის პოზიციაზე სულ 14 მატჩი ჰქონდა ჩატარებული. დღეს, მგონი, ყველა დამეთანხმებით, რომ რამოსი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მცველია.

**— ივან ელგერა კლუბს ტოვებს?**

— ასეა. ელგერას გუნდიდან წასვლა უნდა და მისი სიტუაცია გასაგებია ჩვენთვის. მინდა, ელგერას დიდი მადლობა ვუთხრა ყოველივე იმისთვის, რაც „რეალისთვის" გააკეთა. გასულ წელს პრობლემები აწუხებდა, თუმცა სეზონში თითქმის 30 მატჩში ითამაშა და გუნდს ძალიან დაეხმარა.

**— რას გვეტყვით დევიდ ბექჰემის ტრანსფერზე?**

— დიდი ფეხბურთელია და სხვათა შორის, რაც ნიუ იორკში ვარ, ყველა მასზე მეკითხება. ვწუხვარ, რომ ბექემი „რეალში" აღარ თამაშობს. „გალაქსისთან" მაშინ გააფორმა კონტრაქტი, როცა ყოფილ მწვრთნელთან, ფაბიო კაპელოსთან უთანხმოება მოუვიდა და „ბერნაბეუს" დატოვება უნდოდა. დევიდმა ჩვენ ბევრი რამ შეგვძინა და გასული სეზონის ბოლო რამდენიმე თვის მანძილზე მართლაც ბრწყინვალედ ითამაშა.

**— ახლა აშშ-ში ფაბიო კაპელოთიც დაინტერესდნენ...**

— ჩვენ ტიტულის მოგება გვჭირდებოდა, კაპელომ ეს გააკეთა და ამისთვის მადლობას ვეუბნები, მაგრამ, გარდა ამისა, გვესაჭიროება ისეთი მწვრთნელი, რომელიც მუდამ მინიმალური ანგარიშით მოგებით და დაცვითი ფეხბურთით არ დაკმაყოფილდებოდა. ასეთი რამ შეიძლება იტალიაში გამოდგეს, მაგრამ არა ესპანეთში. ლა ლიგაში შეტევა და ბევრი გოლის გატანა უყვართ.

**— ამერიკულ კომპანიასთან კონტრაქტი რას მოგიტანთ?**

— ეს კომპანია მომავალი ხუთი წლის განმავლობაში „რეალის" ტურნეების ორგანიზატორი იქნება. ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებში მადრიდს „რეალის" საფეხბურთო სკოლების გახსნასაც უხელმძღვანელებს.

# ტერ ორი ამერიკაში
## ტერი და ლამპარდი 131




ფრენკ ლამპარდი და ჯონ ტერი

**არის!** ჯონ ტერიმ თავისი გაიტანა! სულ მალე ინგლისში ახალი, ყველაზე დიდხელფასიანი ფეხბურთელი გამოჩნდება — წელიწადში 6,8 მილიონი გირვანქა!

მართალია, ეს კონტრაქტი ხელმოწერილი ჯერ არ გახლავთ, მაგრამ ინგლისურმა პრესამ დაბეჯითებით შეიტყო, რომ „ლურჯების“ კაპიტნის ახალი ხელფასი კვირაში 131 ათასი გირვანქა იქნება. ოფიციალურად კი ყველაფერი ლონდონელთა ამერიკიდან დაბრუნების შემდეგ გაფორმდება.

როგორც ამერიკიდან იტყობინებიან, ტერისთვის, რომელმაც ოკეანისგაღმა შეკრებაზე ფეხის თითი მოიტეხა, ეს ცნობა ფრიად წამახალისებელი გახლდათ. სხვათა შორის, ვერ გეტყვით, რა მანქანებით, მაგრამ მოტეხილი თითის მიუხედავად, კაპიტანი შაბათს, „ლოს ანჯელეს გალაქსისთან“ ამხანაგურ შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებს.

გუშინ მოგახსენებდით, რომ მოლაპარაკებებს ჯონ ტერის სახელით ფეხბურთელის აგენტი აარონ ლინკოლნი ლოს ანჯელესში აწარმოებდა. კლუბის მხრივ იყო აღმასრულებელი შეფი პიტერ კინიონი. ცნობილი გახდა, რომ მხარეებმა ხუთი წლით შეკრეს პირობა.

ცნობისთვის: „ლურჯთა“ ბანაკიდან გამოჟონა ინფორმაციამ, რომ ტერისა და ლამპარდის საქმეების ამერიკაში მოგვარება კინიონს კლუბის მეპატრონემ, რომან აბრამოვიჩმა სამი კვირის წინ დაავალა. საინტერესოა, რომ აბრამოვიჩი თავად ჩაფრინდა ლოს ანჯელესში, რათა ტერის ხელი ჩამოართვას და ლამპარდისთვის ხელის ჩამოსართმევად მოემზადოს.

შეგახსენებთ, თუ რატომ გაჭიანურდა მოლაპარაკებები ლამპარდსა და ტერისთან — ინგლისელი ვარსკვლავები, რომელთა ყოველკვირეული ხელფასი 68 ათასი გირვანქა იყო, კატეგორიულად აცხადებდნენ, რომ მათ ლეგიონერებზე ყველაზე მაღალანაზღაურებიან ანდრეი შევჩენკოსა და მიხაელ ბალაკზე მეტი უნდა ჰქონოდათ. შევჩენკოსა და ბალაკის ჯამაგირი კვირაში 121 ათასი გირვანქაა.

როგორც ინგლისელმა ჟურნალისტებმა შეიტყვეს, აბრამოვიჩმა და ჟოზე მაურინიომ ტერის ახალი კონტრაქტი ბევერლი ჰილზის სასტუმროში თითო ჭიქითაც აღნიშნეს.

**ბაჩუნა ძიძია**

### პრემიერლიგის ყველაზე მაღალხელფასიანები

ანდრეი შევჩენკო და მიხაელ ბალაკი (ჩელსი) — კვირაში 121 ათასი გირვანქა

სტივენ ჯერარდი (ლივერპული) — 120 ათასი გირვანქა

კრიშტიანუ რონალდუ (მანჩესტერ იუნაიტედი) — 119 ათასი გირვანქა

უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი) და მაიკლ ოუენი (ნიუკასლი) — 110 ათასი გირვანქა

ფრენკ ლამპარდი (ჩელსი) და რიო ფერდინანდი (მანჩესტერ იუნაიტედი) — 100 ათასი გირვანქა სტერლინგი

ფერნანდო ტორესი (ლივერპული) და დიდიე დროგბა (ჩელსი) — 90 ათასი გირვანქა.

# ვესტ ჰემი მატყუარაა?




AFP

**„ვესტ ჰემზე“** თქვეს, რომ კარლოს ტევესის საქმესთან დაკავშირებით იტყუება. ბრაზილიელმა ბიზნესმენმა კია ჯურაბჩიანმა, რომელიც არგენტინელი თავდამსხმელის ეკონომიკური უფლებების მეპატრონეა, განაცხადა, ფიფასა და ინგლისის ფეხბურთის ასოციაციისთვის საჭირო ნამდვილი და სამართლებრივად გამართული დოკუმენტები მხოლოდ მე მაქვსო.

ჯურაბჩიანმა თავისი ვექილების მეშვეობით გაავრცელა ქაღალდი, სადაც წერია:

„ლონდონური კლუბის განცხადებები კარლოს ტევესის საქმესთან დაკავშირებით სინამდვილეს საერთოდ არ შეესაბამება. „ვესტ ჰემი“ პირადი ურთიერთობის დროს უკვე კარგა ხანია, ერთს ამბობს, საჯაროდ კი აბსოლუტურად სხვას აცხადებს. ჩვენ ვეღარ დავუშვებთ, რომ ეს შეუსაბამობა კიდევ დიდხანს გაგრძელდეს და საზოგადოებისთვის დაფარული დარჩეს. აგერ, უკვე ექვსი თვეა, ეს კლუბი გვპირდება და არ ასრულებს. დროა, ამას ბოლო მოეღოს. ჩვენ სხვა გამოსავალს ვერ ვხედავთ. თუ არადა, უფრო დიდი ძალაუფლების მქონე ინსტანციებისთვის ყველაფრის ახსნა და საქმის, რაც შეიძლება, მალე მოგვარებაა საჭირო“.

მოგეხსენებათ, საქმე ეხება კარლოს ტევესის „ვესტ ჰემიდან“ „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადასვლას. ცნობილია, რომ ორივე გუნდმა სამართლის საპოვნელად ფიფას მიმართა. წინააღმდეგობა იმაშია, რომ ფეხბურთელზე ეკონომიკური უფლება ჯურაბჩიანს აქვს, თუმცა მისი კლუბი „ვესტ ჰემია“, რომელიც ტრანსფერიდან თავისას ითხოვს. ლონდონელები აცხადებენ, რომ ვინაიდან ტევესმა მათთან ხელშეკრულება გააფორმა, ესე იგი, ის იურიდიულად მათიცაა და სატრანსფერო თანხა მათ ეკუთვნის.

**ბაჩუნა ძიძია**

## ოსასუნა ვალტერით შეიარაღდა

**„ესპანიოლის“** ურუგვაელი ფორვარდი ვალტერ პანდიანი „ოსასუნაში“ გადავიდა და სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

31 წლის თავდამსხმელმა გასულ სეზონში, [illegible] 34 მატჩში 11 გოლი გაიტანა, „ესპანიოლი“ კი ფინალში „სევილიასთან“ დამარცხდა.

ბარსელონურ გუნდში პანდიანმა წელიწადნახევარი გაატარა და რვა გოლი მიითვალა.

ურუგვაელს „დეპორტივოში“, „მალიორკასა“ და „ბირმინგემში“ უთამაშია.

## ოდემვინგი ლილიდან ლოკოში

**მოსკოვის** „ლოკომოტივის“ პრესმდივანმა ალექსანდრ უდალცოვმა დაადასტურა, რომ „ლილის“ ფორვარდი პიტერ ოდემვინგი დღეს მათი კლუბის ფეხბურთელი გახდება.

— „ლოკომოტივი“ მოურიგდა ფრანგულ გუნდს და ოდემვინგის დღეს ოფიციალურად წარვადგენთ, სადაც კონტრაქტის პირობებსაც გავამხელთ — თქვა უდალცოვმა.

ფორვარდმა „ლილში“ 75 მატჩში 23 გოლი გაიტანა.

## კიეველი პაპე

**სენეგალელი** მცველი პაპე დიაკიტე „ნანსიდან“ კიევის „დინამოში“ გადავიდა. 23 წლის ფეხბურთელის ყიდვა გერმანულ და ფრანგულ კლუბებსაც სურდათ, მაგრამ უკრაინელებმა უკეთესი პირობები შესთავაზეს.

23 წლის მცველმა ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

დიაკიტეს სენეგალის ნაკრებში 16, ხოლო „ნანსიში“ 142 მატჩი უთამაშია.

## ჟოვანის სიტი

**„მანჩესტერ სიტიმ“** ბრაზილიელი ნახევარმცველი ჟოვანი იყიდა და ერთწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. ამის შესახებ კლუბმა ოფიციალურად განაცხადა.

27 წლის ფეხბურთელი „პორტსმუთში“ აპირებდა გადასვლას და მათთან ერთად ვარჯიშობდა, ერთი ამხანაგური მატჩიც ითამაშა, მაგრამ პორტუელებმა არ დაიტოვეს და ახლა „მანჩესტერ სიტიმ“ წაიყვანა.

ჟოვანი ბოლოს „კრუზეიროში“ იყო.

## ბურილიონი პარიზში

**პსჟ-მ** „რენიდან“ მცველი გრეგორი ბურილიონი იყიდა. ფეხბურთელმა გუშინ სამედიცინო შემოწმება გაიარა და ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

23 წლის მცველს თებერვლის შემდეგ არ უთამაშია, რადგან მუხლის ტრავმა ჰქონდა.

ეს მეორე შენაძენია პარიზული კლუბისა, რომელმაც ბურილიონამდე „ლე ავრიდან“ ასევე მცველი დიდიე დიგრდი გადაიბირა.

## გაზაევს ემუქრებიან

**ზეგ** ცსკა „ლოკომოტივთან“ თუ წააგებს, ვალერი გაზაევი, შესაძლოა, მოხსნან — წერს რუსული მედია.

კლუბის დირექტორთა საბჭო უკმაყოფილოა გუნდის თამაშით, რომელსაც უკვე რამდენიმე ტურია, არ მოუგია და თითქმის 500 წუთია, გოლი არ გაუტანია.

ცსკა-ს პრეზიდენტ ევგენი გინერთან გაზაევს კარგი ურთიერთობა აქვს, მაგრამ დირექტორატის სიტყვა გადამწყვეტია.

## ლამურამ ტაივო მოიკითხა

**„ვალენსიას“** „მარსელიდან“ ნიგერიელი მცველის, ტაიე ტაივოს შეძენა უნდა და „ლამურების“ სპორტული დირექტორი მიგელ ანხელ რუისი ფრანგებს უკვე დაუკავშირდა.

22 წლის ტაივო ვალენსიელებს ასიერ დელ ორნოს შემცვლელად სურთ, რომელიც ტრანსფერზეა დაყენებული.

## ორნი სარაგოსაში

**„სარაგოსამ“** მადრიდის „რეალიდან“ 27 წლის ფრანსისკო პავონი, დონეცკის „შახტარიდან“ კი ესპანელის თანატოლი ბრაზილიელი ფრანსელინიო მატუზალემი იყიდა.

პავონს ოთხწლიანი, მატუზალემს კი სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს.

ბრაზილიელში „სარაგოსამ“ დაახლოებით 12 მილიონი ევრო გადაიხადა, პავონის ფასი კი უცნობაა.

## გენტნერი გამგელდა

**ბუნდესლიგის** ჩემპიონმა „შტუტგარტმა“ ნახევარმცველი კრისტიან გენტნერი „ვოლფსბურგში“ გაანათხოვა, რომელსაც ფელიქს მაგათი წვრთნის.

„მოხარული ვარ, რადგან „ვოლფსბურგში“ თავის გამოჩენის მეტი შანსი მექნება“ — თქვა 21 წლის ფეხბურთელმა.

„ამ გარიგებით ორივე კლუბი მოიგებს — განაცხადა „შტუტგარტის“ მენეჯერმა ჰორსტ ჰელდტმა — გენტნერს „მგლებში“ ძირითად შემადგენლობაში ათამაშებენ“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# მარგალიტა ჰოუმ დეპორტში

## დევიდის აქ ყოფნა კარგი არ გამოდგა







AFP

**ასეთი** მოღუშული დევიდ ბექემი კარგა ხანია, არავის უნახავსო, წერდა გუშინდელ „სანში“ ინგლისური გაზეთის ამერიკაში მივლინებული მიმომხილველი შონ კასტისი, რომელიც „ლოს ანჯელეს გალაქსის“ თამაშს დაესწრო და ტრიბუნაზე ჩამომჯდარ თანამემამულე ვარსკვლავს დააკვირდა. ეს კაციო, განაგრძობს მისტერ კასტისი, სულ რაღაც ორიოდ თვის წინ გადაჭედილ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ აღფრთოვანებული მაყურებლის ოვაციის თანხლებით, არც მეტი, არც ნაკლები, მადრიდის „რეალის“ შემადგენლობაში ესპანეთის ჩემპიონი ხდებოდა, სამშაბათს კი ლოს ანჯელესის „ჰოუმ დეპორტ სენტრში“ 2 ათას კაცთან ერთად თავისი ახალი თანაგუნდელების საცოდაობას უყურებდაო.

შემდეგ კი, „სანის“ მიმომხილველი წერს წინადადებას, რომელიც ძალიან ჰგავს მარგალიტას ფრაზას ფილმიდან „შერეკილები“: „ეჰ, დევიდ, დევიდ, სად წახვედი, სად?“

და, მისტერ შონ კასტისის საბოლოო დასკვნა ასეთია: „ლოს ანჯელეს გალაქსიში“ გადასვლით დევიდ ბექემმა თავს საფეხბურთო არმაგედონი მიუსაჯა“

დიახ, ამერიკელებთან 250 მილიონ დოლარად გარიგებული დევიდ ბექემი ლოს ანჯელესში ერთი კვირის წინ დიდი რიხითა და გულთქმით ჩავიდა, ის, მისიონერად იყო შერაცხული, მას ამერიკული ფეხბურთის ახალ სიმაღლეზე აყვანა ევალებოდა. ახლა, როდესაც მექსიკურ „ტიგრესთან“ შინ 0:3 დამარცხება თავისი თვალით იხილა, ბექემის ამოცანა, ალბათ არ შეცვლილა, მაგრამ ახალი სიმაღლის ცნებამ, ალბათ, კონკრეტული მნიშვნელობა მიიღო — „ლოს ანჯელეს გალაქსი“ დანარჩენი მსოფლიოს გაგებით უმდაბლეს დონემდე თუ აიყვანა, დიდი საქმე იქნება.

მიმომხილველი კასტისი წერს: „პირდაპირ რომ ვთქვათ, ბექჰის ახალი გუნდი ძალიან ჰგავს ლუდხანას შაბათ ღამის შემდეგ. „გალაქსიში“ საფეხბურთო მოედანთან მეტნაკლებად დაკავშირებული, წინა ღამის გამომთვრალი ინგლისელი ბიჭები რომ ჩაიყვანო, მის დღევანდელ შემადგენლობაზე უკეთესად ნამდვილად ითამაშებენ. ეს ბექჰსაც ძალიან გაეხარდებოდა, რადგან აშკარაა, მას დახმარება სჭირდება. თან, ეს გამომთვრალი ბიჭები ლოს ანჯელესში ოჯახებსაც თუ ჩაიყვანდნენ, ძალიან კარგი იქნებოდა, თორემ ტრიბუნაზე მართლა ძალიან ცოტა ხალხი ზის“.

მატჩი, რომელმაც ინგლისელ ჟურნალისტზე ასეთი წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა, საღამოს ექვსის ნახევარზე დაწყებულა და, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს ქალაქში, 2 ათას გულშემატკივარზე მეტი ვერ შეუკრებია. მერედა, როგორც მიმომხილველი კასტისი გვარწმუნებს, მადრიდული გაგებით „ულტრასები“, ანუ ის ფანები, რომელთა გამოც ლოს ანჯელესის სპეც-პოლიცია მიდის ხოლმე სტადიონზე, არც მეტი, არც ნაკლები, თოთხმეტნი ყოფილან. ბექემი, კლუბის პრეზიდენტ ალექს ლალასთან და პირად მწვრთნელ ტერი ბირნთან ერთად ცალკე ლოჟაში იჯდა და „სანის“ მიმომხილველის მტკიცებით, ფიქრობდა, აქ რა ჯანდაბას ვაკეთებო. მისთვის „გალაქსის“ ყველა მოთამაშის დეტალური სტატისტიკური მონაცემები მოუციათ, მაგრამ მასში ჩახედვას დიდი აზრი არ უნდა ჰქონოდა, ისედაც კარგად ჩანდა, ყველა ნაგავი რომ იყო.

ერთი სიტყვით, ბექემი ლოჟაში იჯდა, გასიებულ ფეხზე ფიზიოთერაპევტი ყინულს ადებდა, მოედანზე ცუდი ფეხბურთელები ცოდვილობდნენ, საფინალო სასტვენის შემდეგ მაყურებელმა გუნდს „ბუუუ“ უძახა, მწვრთნელი ფრენკ იალოპი კი გასახდელში შესვლის წინ აშაყირეს.

შემდეგ, საპრესკონფერენციო დარბაზში შეძრწუნებული ლალასი ჟურნალისტების წინაშე წარდგა. როგორც ჩვენი მისტერ კასტისი ამბობს, სახეზე აშკარა შიში და ნერვიულობა ეხატა, რადგან კარგად იცის, რომ ბექემის დებიუტი შაბათს „ჩელსისთან“ ამხანაგურ შეხვედრაში შეიძლება ვერ შედგეს და მეტიც, ინგლისელმა, შესაძლოა, კიდევ ორი თამაში ვერ ჩაატაროს, ხოლო იმ საშინელების გამოსწორებას, რასაც დღევანდელი „ლოს ანჯელეს გალაქსი“ ეწოდება, დიდი ძალისხმევა სჭირდება — „გალაქსიმ“ მიმდინარე სეზონში 13 მატჩი გამართა და მათგან მხოლოდ სამი მოიგო.

„დღეს ჩვენმა გუნდმა საცოდავად ითამაშა. ეს ის ფეხბურთი არ არის, რომელსაც ჩვენ ვესწრაფვით და რომლითაც ჩვენ ვიამაყებდით. მე არ ვეთანხმები იმას, რომ ჩვენს ფეხბურთელებზე მაყურებლის სიმცირე მოქმედებს. არა აქვს მნიშვნელობა, ხუთი კაცი გიყურებს თუ მთელი მსოფლიო, საძაგელი თამაში საძაგელი თამაშია და ის არ გეკადრება. დევიდ ბექემის ჩამოსვლამ ამ ქალაქში რაღაც ეიფორია შექმნა, რაც ძალიან ცუდია. დღეს დევიდი, უბრალოდ, იჯდა და უყურებდა კარგს, ცუდსა და საზიზღარს. ჩვენ, ჩვენი მხრივ, მას კარგი ვერაფერი დავანახეთ. ეს ჩვენი კარგი თამაშის ნიმუში არ გახლდათ.

დევიდი, ისევე, როგორც „გალაქსის“ ყველა მოთამაშე, მარცხმა დაამწუხრა, მაგრამ ის იმედით არის აღსავსე. მან თქვა, რომ გუნდში არის, როგორც ინდივიდუალური, ასევე კოლექტიური ნიჭი და, შესაბამისად, პერსპექტივა“.

შემდეგ, ლალასმა, რომელსაც თავის დროზე სერია A-ში აქვს ნათამაშევი, თქვა, რომ მწვრთნელს, იალოპს მოხსნის საშიშროება არ ემუქრება.

„ფრენკს უდიდეს პატივს ვცემ და ვფიქრობ, რომ მასზე უკეთესს დღეს ვერავის ავიყვანდით მწვრთნელად“.

ჟურნალისტების წინაშე გამოვიდა თავად იალოპიც:

„ფეხბურთელები ძალიან ნერვიულობდნენ. დევიდის აქ ყოფნა კარგი არ გამოდგა. შაბათს „ჩელსისთან“ ჯოჯოხეთი გველის, მაგრამ მეორე მხრივ, ეს ჩვენი შანსია. ამ შეხვედრით ჩვენ ნამდვილად დიდ გუნდთან გაჯიბრების საშუალება გვაქვს“.

და ბოლოს მიმომხილველი კასტისი: „ამ შეხვედრაში ათზე ნაკლებს თუ გაიტანს „ჩელსი“, წესით, ძალიან უკმაყოფილო უნდა დარჩეს“.

**ბაჰუნა ძიდია**

# ფერგიუსონმა წასვლა დამალა



AFP

**„მანჩესტერ იუნაიტედის“** მთავარი მწვრთნელი ალექს ფერგიუსონი მანამდე იმუშავებს, სანამ ჯანი ერჩის.

შოტლანდიელი სერი 2002 წელს აპირებდა კარიერის დასრულებას და გადაიფიქრა. ახლა 65 წლისაა და ვერ ამბობს, როდის დაანებებს თავს მწვრთნელობას.

„არანაირი თარიღი ფეხბურთიდან წასვლისა არ დამითქვამს — განაცხადა ფერგიუსონმა — ერთხელ წამომცდა და შევცდი, რადგან ჩემმა სიტყვებმა ფეხბურთელებზე უარყოფითად იმოქმედა. ამჟამად თავს შესანიშნავად ვგრძნობ, საქმით ვტკბები და არსად მივდივარ. მით უმეტეს, რომ ოქტომბერში 21 წელი შესრულდება, რაც „მანჩესტერში“ ვმუშაობ. ეს პრემიერლიგის რეკორდია. მწვრთნელობა 32-ისამ დავიწყე. მხოლოდ ერთი უპირატესობა მქონდა — ახალგაზრდობაში თვითონ ვთამაშობდი ფეხბურთს. მაშინ ეს საუკეთესო რეკომენდაციად ითვლებოდა, თუმც მაინც თავდაუზოგავად ვსწავლობდი ათი წლის განმავლობაში და ყოველ ზაფხულს სამწვრთნელო კურსებზე დავდიოდი. მართალია, ბევრს მივაღწიე, მაგრამ არა მხოლოდ შრომით, არამედ იღბალიც თან მდევდა, იღბალის გარეშე კი თანამედროვე ფეხბურთში ვერაფერს მიაღწევ“.

**ვაჟა ხუციშვილი**



# გამაგებინეთ ფინალის გემო!

**მიუნხენის** „ბაიერნის“ კაპიტანმა ოლივერ კანმა თქვა, რომ მომავალ წელს უეფას თასის ფინალში თამაში სურს, რადგან მერე კარიერის დასრულებას აპირებს და უნდა, კიდევ ერთხელ გაიგოს ფინალის გემო.

38 წლის გერმანელმა ოთხშაბათს „მიონხენგლადბახთან“ ამხანაგურ მატჩში ითამაშა, რომელიც „ბაიერნმა“ 1:2 წააგო და გოლი ტრავმამოშუშებულმა ბასტიან შვაინშტაიგერმა გაიტანა.

„ბაიერნმა“ ამ წაფხულს 69 მილიონი ევრო დახარჯა გუნდის გასაძლიერებლად და კანსაც მიაჩნია, რომ ასეთი გუნდით უეფას თასის ფინალში გასვლა მართებთ.

„უდიდესი გამოცდილება მაქვს — განაცხადა მეკარემ — ბევრი ვნახე და ბევრიც გავაკეთე, მაგრამ ზეიმი და ჯილდოს მოგებით განცდილი სიხარული მომენატრა. ჩემი მიზანი კიდევ ერთი ფინალის თამაშია, თუნდაც ის უეფას თასისა იყოს. მხოლოდ მაშინ ვგრძნობ თავს კარგად“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რობენმა რეალთან კონტრაქტი გააფორმა?
## შუსტერმა ინიესტაც მოითხოვა


ჟოზე მაურინიუ და არიენ რობენი

**არიენ რობენი** შეიძლება უკვე მადრიდის „რეალის" ფეხბურთელად ჩავთვალოთ. BBC-ის ცნობით, ჰოლანდიელმა „სამეფო გუნდთან" ხუთწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი და არ არის გამორიცხული, მადრიდში მისი პრეზენტაცია დღესვე შედგეს. თუმცა იმასაც ამბობენ, რომ „ჩელსის" და „რეალს" კონტრაქტის ფინანსური მხარე ჯერ არ მოუგვარებიათ.

„სამეფო თეთრები" მზად არიან, რომან აბრამოვიჩის კლუბს რობენში 21 მილიონი ევრო გადაუხადონ მაშინ, როცა „ჩელსი" 25,4 მილიონს ითხოვს. თუმცა „რეალის" ხელმძღვანელობა ამაზე არ ღელავს და ცდილობს, ინგლისელებთან გარიგება იაფად გაჩარხოს. მადრიდში იციან, რომ არიენ რობენს „რეალში" თამაში უნდა, ფეხბურთელი და მისი მამა ჰანს რობენი (რომელიც არიენის აგენტი გახლავთ) მედიასთან მადრიდულ სიმპათიებზე პირდაპირ საუბრობენ. ახლა მხოლოდ ისღა დარჩა, რომ „ჩელსის" აღმასრულებელმა შეფმა პიტერ კენიონმა ტრანსფერს მოწყალე თვალით შეხედოს.

რობენმა, რომელსაც „ჩელსისთან" კონტრაქტი 2009 წელს უმთავრდება, „რეალში" გადასვლა რამდენიმე მოსაზრების გამო აირჩია. პირველი ის გახლავთ, რომ „ჩელსიში" ფლორენ მალუდას მისვლის შემდეგ ძირითადში მის ყოფნას საფრთხე დაემუქრა. მეორეც — როცა ჰოლანდიელმა „ჩელსისთან" კონტრაქტის გახანგრძლივებაზე სიტყვა ჩამოაგდო, უფროსობის მხრიდან საკმაოდ გულგრილ რეაქციას წააწყდა და მიხვდა — აქ ჩემი ყოფნა ნაკლებად უნდათო.

— „ჩელსისთან" დაკავშირებით საქმე საკმაოდ რთულად მიდის — განაცხადა არიენმა მექსიკურ „ამერიკასთან" ამხანაგური მატჩის შემდეგ.

არსებობს მესამე მიზეზიც: რობენი „რეალის" პრეზიდენტ რამონ კალდერონის და სპორტულ დირექტორ პრედრაგ მიატოვიჩის ფავორიტია. მწვრთნელი ბერნდ შუსტერიც მოუთმენლად ელის ჰოლანდიელის მადრიდში ჩასვლას.

„ჩელსის" მწვრთნელი ჟოზე მაურინიუ კი გაურკვევლად მოქმედებს. პორტუგალიელმა ადრე თქვა, არიენ რობენი აღარ მინდაო, შემდეგ კი აზრი იცვალა და განაცხადა: „არიენი ახლა „ჩელსის" ფეხბურთელია და კონტრაქტის მიხედვით, „სტემფორდ ბრიჯზე" ყოფნა კიდევ ორი წლით უწევს. შესანიშნავად თამაშობს და ძალიან კმაყოფილი ვიქნები, თუ მომავალ სეზონშიც ჩვენთან დარჩება".

რობენი ახლა ამერიკაშია „ჩელსისთან" ერთად და მამამისისგან სატრანსფერო სიახლეებს ელის. მიუხედავად იმისა, რომ ფიქრით უკვე მადრიდშია, ჰოლანდიელი ვარჯიშს არ წყვეტს.

სამშაბათს „ჩელსიმ" ამხანაგური მატჩი ჩაატარა „სამსუნგ ბლუვინგსთან", რომელშიც რობენმა მეორე ტაიმი ითამაშა. მაურინიუს გადაწყვეტილებით, რობენმა და მალუდამ ერთად იბურთავეს.

მეორე შეხვედრას აბრამოვიჩის კლუბი 21 ივლისს გამართავს „ლოს ანჯელეს გალაქსისთან", თუმცა არიენ რობენი ფიქრობს, რომ მაშინ უკვე „რეალში" იქნება.

ჰოლანდიელის გარდა, „რეალი" ბარსელონელი ანდრეს ინიესტათია დაინტერესებული. „მარკას" ინფორმაციით, „სამეფო გუნდის" თავკაცობა კატალონიელი ნახევარმცველის თამაშით მოხიბლულია და ინიესტაში დიდძალი თანხის გადახდას აპირებს — ინიესტას „ბარსასგან" გათავისუფლება 60 მილიონი ევროს გადახდის შემთხვევაში მოხერხდება.

შეგახსენებთ, რომ „რეალმა" წლეულს უკვე შეიძინა ერთი ყოფილი ბარსელონელი — ხავიერ სავიოლა.

**ლადო ხომერიკი**



# ჟიულიმ ეტოო და რონი გაშიფრა

„**ბარსელონას**" ყოფილი მეწინავე ლუდოვიკ ჟიული ახლა „რომას" ფეხბურთელია.

ფრანგი ოთხშაბათს „რომა ჩანელის" სტუდიაში მიიწვიეს, სადაც ჟიულიმ რონალდინიოსა და სამუელ ეტოოს იტალიის ჩემპიონატში სავარაუდო გადასვლაზეც ისაუბრა.

„დარწმუნებული ვარ, ან რონი ან ეტოო გაისად რომელიმე იტალიურ კლუბში ითამაშებენ. საამსეზონოდ კი ეს არ მოხდება" — განაცხადა ჟიულიმ.

მან აგრეთვე „რომაში" ყოფნის პირველ დღეზე, თანაგუნდელთა გულთბილ მიღებასა და კაპიტან ფრანჩესკო ტოტიზეც ილაპარაკა: „ბედნიერი ვარ აქ მოსვლით. ყველანი კარგად შემხვდნენ და პირველი რომაული შთაბეჭდილებაც შესანიშნავია. მე და ფრანჩესკო ტოტი ერთი თაობა ვართ. ვიცი, ტოტი დიდი კაპიტანი, გუნდის სიმბოლოა და ვამაყობ, მისი და სხვა რომაელების გვერდით თამაშის შანსი რომ მომეცა".

„ლუდოს" არც „ბარსელონა" დავიწყებია: „ბარსაში" მე, როგორც ფეხბურთელი და როგორც პიროვნება, უფრო გავიზარდე. იმედი მაქვს, „რომაშიც" წარმატებით ვითამაშებ".

**ლადო ხომერიკი**



# ბარსელონამ ლამურა თქვა

„**ბარსელონამ**" უკვე გამოაცხადა, რომ გუნდში ტიერი ანრის, ერიკ აბიდალის, იაია ტურესა და გაბრიელ მილიტოს მისვლის შემდეგ სატრანსფეროდ აღარ გაირჯება. თუმცა ესპანური მედიის ინფორმაციით, კატალონიელები ასიერ დელ ორნოს შეძენასაც აპირებენ. ბასკი მცველი „ვალენსიამ" შეკრებაზე აღარ წაიყვანა და „ბარსაც" დელ ორნოთი დაინტერესდა. თუმცა, რა თქმა უნდა, ხუან ლაპორტას ბანაკი უკანასკნელში ბლომად ფულის გამეტებას არ აპირებს.

ოთხშაბათს „ონდა სეროშ" აღნიშნა, ლაპორტა „ჩელსის" ყოფილი ფეხბურთელის სანაცვლოდ 4-5 მილიონ ევროს გადაიხდისო. მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობს და „ბარსას" მწვრთნელ ფრანკ რაიკარდსაც დელ ორნოს ხილვა გუნდის დაცვის მარცხენა ფლანგზე უნდა. ამ პოზიციაზე აბიდალი და სილვინიო არიან, თუმცა ეს უკანასკნელი გუნდიდან წასვლის ერთ-ერთი რეალური კანდიდატია.

სატრანსფერო გარიგებით „ვალენსიაც" დაინტერესებული — „ლამურებს" უნდათ, მათგან დაწუნებულ ფეხბურთელში ის 7 მილიონი ევრო მიიღონ, ასიერ დელ ორნოში „ჩელსის" რომ გადაუხადეს.

ცხადია, „ბარსაში" გადასვლით არც ბასკი უნდა დარჩეს უკმაყოფილო — ტიტულების მოგების უფრო მეტი შანსი ექნება და, სავარაუდოდ, ხელფასსაც გაუზრდიან.

ამჟამად ასიერ დელ ორნოს ვალენსიური ჯამაგირი სეზონში დაახლოებით 2 მილიონი ევროა.

**ლადო ხომერიკი**

# მადლობა უფალს!
## რონალდინიოს ძმაც იქ უნდა ყოფილიყო...

**სიკვდილს** სასწაულით გადაურჩა რონალდინიოს ძმა და საფეხბურთო აგენტი რობერტო დე ასის მორეირა.

ეს კაცი, წესით, იმ თვითმფრინავში უნდა ყოფილიყო, სან პაულუში რომ ჩამოვარდა და 250 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, თუმცა რობერტომ ბოლო მომენტში გადაიფიქრა აეროპორტში წასვლა.

„სულ ბოლო წამს გადავდე სან პაულუში გამგზავრება. ბილეთი უკვე შეძენილი მქონდა და ზუსტად იმ თვითმფრინავით უნდა გავფრენილიყავი... მერე კი ის შემზარავი ამბავიც გავიგე. შოკში ვარ, მადლობა უფალს, რომ ბიზნესთან დაკავშირებით რაღაც პრობლემები შემექმნა და აეროპორტში წასვლა ველარ შევძელი" — განუცხადა საფეხბურთო აგენტმა „გლობოსპორტს".

აერობუსი A-320 სან პაულუში ბენზინგასამართ სადგურს შეასკდა და თვითმფრინავში მყოფი 186 ადამიანის გარდა სხვების სიცოცხლეც შეიწირა. დაღუპულთა შორისაა საფეხბურთო კლუბ „გრემიოს" ექსპრეზიდენტი პაულუ როჟერიუ ამორეტიც, რომელიც ამ გუნდს 1998-99 წლებში თავკაცობდა. თავად „გრემიოც" ძლივს გადარჩა — კლუბმა რობერტო დე ასისის მსგავსად, ბოლო წამს შეცვალა გადაწყვეტილება და სან პაულუში სხვა რეისით გამგზავრა.

**ლადო ხომერიკი**



### მსოფლიოს 2007 წლის U-20 ჩემპიონატი

**ნახევარფინალი**

ავსტრია 0:2 ჩეხეთი

### ბრაზილია

**სერია A. XII ტური**

ფიგეირენსე — სპორტ რესიფე 0:1; ატლ. მინეირო — ამერიკა 4:1; ატლ. პარანენსე — ჟუვენტუდე 4:0; ინტერნასიონალი — კორინთიანსი 3:0; ნაუტიკო — კრუზეირო 1:4; სან პაულუ — ფლუმინენსე 0:1

### აზიის თასი 2007

**C ჯგუფი. III ტური**

მალაიზია 0:2 ირანი

უზბეკეთი 3:0 ჩინეთი

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ირანი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:3 | 7 |
| უზბეკეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 9:2 | 6 |
| ჩინეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 7:6 | 4 |
| მალაიზია | 3 | 0 | 0 | 3 | 1:12 | 0 |

**1/4 ფინალი: 21-22 ივლისი**

იაპონია — ავსტრალია

ერაყი — ვიეტნამი

ირანი — სამხ. კორეა

ს. არაბეთი — უზბეკეთი


ნელსონ რივასი


ლუის ხიმენესი

# ინტერით ბედნიერი
# ინტერის ახალწვეულები
## ტაისონს ხიმენესიც მიჰყვა

**იტალიის ჩემპიონი მილანის „ინტერი“ ორი ფეხბურთელით, ლუის ანტონიო ხიმენესით და ნელსონ რივასით გაძლიერდა. ახლა კი „ნეროაძურის“ ფანები მოსკოვის „სპარტაკის“ ჩეხ ნახევარმცველ რადოსლავ კოვაჩს ელიან. ამბობენ, სადაცაა, „შავ-ლურჯები“ მასთან კონტრაქტს გააფორმებენო.**

**23 წლის ხიმენესი შემტევი ნახევარმცველია, ჭკვიანური თამაშითა და სისწრაფით გამოირჩევა. იგი იტალიაში 2002 წელს გადაბარგდა და „ტერნანაში“ ჩაირიცხა. შემდეგ იყო იჯარით „ფიორენტინაში“ და გასულ სეზონში „ლაციოში“. „ინტერმა“ იგი ერთი წლით ითხოვა, სამწლიანი კონტრაქტის პერსპექტივით, თუ „ტერნანასგან“ ბოლომდე გამოისყიდის მის უფლებებს.**

**ხიმენესი „ნეროაძურის“ მესამე ჩილელია ივან სამორანოსა და დავიდ პიზაროს შემდეგ.**

**25 წლის რივასი კი ფიზიკურად ძლიერი, სწრაფი მცველია. „ინტერში“ იგი არგენტინული „რივერ პლეიტიდან“ გადავიდა, სადაც „ტაისონი“ შეარქვეს. „ნეროაძურისთან“ მან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. „შავ-ლურჯებში“ კოლუმბიელს თანამემამულე ივან კორდობა დახვდება.**

**რივასს ასევე უთამაშია „დეპორტივო კალიში“, „პასტოსა“ და „ტოლიმაში“...**

**აქვე გთავაზობთ ამ ორი ახალი ინტერელის ინტერვიუებს...**

### ლუის ხიმენესი

— ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ინტერელის რანგში გესაუბრებით. თავის გამოჩენის ბრწყინვალე შანსი მეძლევა. იმისათვის, რომ ტრანსფერი შედგა, დიდ მადლობას ვუხდი „ტერნანას“, „ლაციოსა“ და, რაც მთავარია, „ინტერს“, რომელმაც მე ამირჩია. გუნდში უამრავი ვარსკვლავია, მაგრამ მაინც ვეცდები, ჩემი თამაშით დავეხმარო „ინტერს“ და სასარგებლო ვიყო. ჯერ კიდევ უნდა მოვუმატო და ვისწავლო. ერთი სიტყვით, ოცნება ამიხდა. ძალიან ბედნიერი ვარ და იმედია, გამოჩენილ ნდობას გავამართლებ.

**— კლუბებს კი გადაუხადეთ მადლობა, მაგრამ ამ ტრანსფერის განხორციელებაში ლომის წვლილი პირადად თქვენ შეიტანეთ...**

— ნამდვილად. მართალია, რომ ყველაფერი გავაკეთე, რაც შემეძლო, რათა ეს ტრანსფერი შემდგარიყო. ორ ისეთ მშვენიერ გუნდში მითამაშია, როგორებიც „ლაციო“ და „ფიორენტინაა“, თუმცა „ინტერი“ ბევრი მოთამაშისთვის მწვერვალია, მათ შორის, ჩემთვისაც და ასეთ შანსს ხელიდან ვერ გავუშვებდი.

**— თავის ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე რობერტო მანჩინიმ თქვენ ძალიან კარგად შეგაფასათ...**

— ამისთვის მას მადლობას ვუხდი. მწვრთნელის შექებამ უფრო გამაბედნიერა და გამათამამა. ეს ბევრს ნიშნავს. იმედია, მანჩინისა და მთლიანად გუნდის ნდობას კარგი თამაშით ვუპასუხებ.

**— ალბათ ერთი სული გქონდათ, როდის შედგებოდა ეს ტრანსფერი...**

— რა თქმა უნდა, ამ შესაძლებლობას ხელიდან ვერ გავუშვებდი. „ინტერს“ 23 წლისა შევუერთდი და უბედნიერესი ვარ. მრავალი ნამდვილი ჩემპიონის გვერდით მომიწევს თამაში და ყველაფერს გავაკეთებ იმის დასამტკიცებლად, რომ ამ შანსს ვიმსახურებ.

**— ამბობენ, „ინტერი“ თქვენით ადრეც იყო დაინტერესებული...**

— რამდენიმე წლის წინ იყო კონტაქტი, მაგრამ ახლანდელივით კონკრეტული წინადადება არ ყოფილა. მოლაპარაკებები საკმაოდ გაიწელა, მაგრამ, საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა.

**— ბევრ პოზიციაზე კი შეგიძლიათ თამაში, მაგრამ ყველაზე მეტად რომელი მოგწონთ?**

— როცა ფორვარდების უკან ვარ, გამთამაშებლად. ისე კი, ბევრ პოზიციაზე შემიძლია თამაში და მითამაშია კიდეც. მათ შორის, ცენტრფორვარდადაც. მწვრთნელი სადაც გამამწესებს, იმ ამპლუას შევეგუები.

**— ნომერი უკვე აირჩიეთ?**

— არა, ჯერ არ ამირჩევია.

**— 11-ნომრიანი მაისურა თავისუფალია, მისალები იქნება თქვენთვის?**

— დიახ, მაგრამ ჯერ კიდევ არ ვიცი, რომელი ნომრით ვითამაშებ. მთავარია, „ნეროაძურის“ მაისურა მეცმევა.

### ნელსონ რივასი

**— არგენტინაში ტაისონს გეძახდნენ. თუ მოგწონთ ეს მეტსახელი და ჩვენც შეგვიძლია მისი გამოყენება?**

— წინააღმდეგი არ ვარ. „რივერ პლეიტში“ ჩემი ორი მთავარი იარაღის — ფიზიკური ძალისა და სისწრაფის წყალობით აღმოჩნდა. ტაისონი ალბათ ამ თვისებების გამო შემარქვეს და მეც უპრობლემოდ შევეგუე.

**— რას ელით იტალიური თავგადასავლისგან?**

— ძალიან ბედნიერი ვარ, რომ „ინტერში“ აღმოვჩნდი, იტალიისა და მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო კლუბში. ჩემი დარი ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის კარიერის დასაწყისში ასეთი დონის კლუბში მოხვედრა ოცნებაა. მე იტალიის ჩემპიონატში გადმოვედი, სადაც ბევრი ვარსკვლავი თამაშობს. ჩემი მიზანი შრომაა, რათა „ინტერს“ მოგებაში დავეხმარო.

**— რამდენად მნიშვნელოვანია, რომ აქ თქვენი თანამემამულე, კოლუმბიური ფეხბურთის ერთ-ერთი მთავარი ვარსკვლავი ივან კორდობა დაგხვდათ?**

— ეს უმნიშვნელოვანესია. „ინტერში“ რომ მოვდიოდი, მშვიდად ვიყავი, რადგან ვიცოდი, აქ თანამემამულე დამხვდებოდა. ივანს უკვე ბევრი ველაპარაკე, მან მრავალი რამ ამიხსნა და მითხრა, ყოველთვის შეგიძლია, ჩემი იმედი გქონდესო.

**— როგორც გავიგეთ, ექსინტერელი და ამჟამად „რივერ პლეიტის“ მწვრთნელი დანიელ პასარელა ძალიან გაბრაზდა თქვენზე, იმიტომ, რომ „რივერი“ დატოვეთ და „ნეროაძურიში“ გადმობარგდით...**

— მართალია. იგი „რივერ პლეიტისთვის“ ძალიან მნიშვნელოვან მოთამაშედ მთვლიდა და არ უნდოდა, რომ წამოვსულიყავი. თუმცა მჯერა, სწორი არჩევანი გავაკეთე და მიხარია, რომ ახლა „ინტერში“ ვარ.

**— დაცვაში რა ადგილზე თამაშობდით „რივერ პლეიტში“?**

— ძირითადად, ფლანგებზე, თუმცა ცენტრში თამაშიც შემიძლია.

# აი, ია. აი, ზოზო

**ვეტერანი** იტალიელი ფორვარდი კრისტიან ვიერი, რომელსაც ბოლოს რომის „ლაციოს“ უკავშირებდნენ, ფლორენციის „ფიორენტინაში“ გადადის — ეს 99 პროცენტით გადაწყვეტილი ყოფილა, ტრანსფერს ოფიციალური დასტურიღა აკლია.

აპენინური პრესის ცნობით, ბერგამოს „ატალანტადან“ წამოსვლის შემდეგ, თავისუფალ აგენტად მყოფი ბობო „ვიბოან“ ერთწლიან კონტრაქტს გააფორმებს და 1,5 მილიონ ევროს მიიღებს, პლუს ბონუსებს ჩატარებული მატჩებისა და გატანილი გოლების რაოდენობის მიხედვით.

„შეთანხმება უკვე მიღწეულია და ალბათ ძალიან მალე კრისტიან ვიერი ოფიციალურად გახდება „ფიორენტინას“ თავდამსხმელი. ამჟამად მის აგენტთან ვათანხმებთ დარჩენილ დეტალებს“ — ნათქვამია „ვიბის“ ოფიციალურ განცხადებაში.

ფლორენციელებს ფორვარდი ნამდვილად სჭირდებათ. მართალია, მიუნხენის „ბაიერნში“ წასული ლუკა ტონის შემცვლელად პერსპექტიულ ჯამპაოლო პაცინის მიიწვევენ, მაგრამ საკმარისი რაოდენობის თავდამსხმელი მაინც არ ჰყავთ. მით უმეტეს, ბულგარელი ვალერი ბოჟინოვის წასვლაც თითქმის გადაწყვეტილია.

ამ საკითხზე „ფიორენტინას“ რუმინელმა ლიდერმა ადრიან მუტუმაც ისაუბრა — „რაღაც კიდევ გვაკლია, მათ შორის, თავდასხმაშიც. თუ გვინდა, სერია A-ში და ევროპაში კონკურენტუნარიანნი ვიყოთ და გარკვეულ წარმატებებს მივაღწიოთ, რამდენიმე გამოცდილი, მაღალი კლასის მოთამაშე კიდევ უნდა დავიმატოთ“.

აპენინური ჟურნალ-გაზეთების ინფორმაციით, გაიზარდა ფრანკო სემიოლის „იებში“ გადასვლის შანსიც. შეგახსენებთ, რომ ნიჭიერი გარემარბი, რომელსაც „სკუადრა აძურაშიც“ იწვევენ ხოლმე, „კიევოს“ სერია B-ში გავარდნის შემდეგ ახალ კლუბს ეძებს.

**კოკი კანდელაკი**



## ლაჟვარდოვანი ჰაბიბი

„მარსელის“ ფორვარდი ჰაბიბ ბამოგო მომავალ სეზონს „ნიცაში“ გაატარებს. კარგი თამაშის შემთხვევაში, ლაჟვარდოვანი სანაპიროს გუნდი თავდამსხმელის კონტრაქტს გამოისყიდის და სამწლიან ხელშეკრულებას გაუფორმებს.

ჰაბიბ ბამოგო წინა სეზონის მეორე ნახევარში „სელტაში“ იყო განათხოვრებული.

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | 20 ივლისი | | | | | | |
| 22:30 | 1 | შტურმი-ლინცერი | 1.85 | 3.20 | 3.85 | 1.17 | 1.24 | 1.74 |
| | | 22 ივლისი | | | | | | |
| 21:30 | 3 | ავსტრია კ-რიდი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 19:00 | 4 | აუსტრია-ზალცბურგი | 2.80 | 3.20 | 2.30 | 1.49 | 1.26 | 1.33 |
| 21:30 | 5 | ტიროლი-მატერსბურგი | 2.50 | 3.20 | 2.55 | 1.40 | 1.26 | 1.41 |
| | | **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | 21 ივლისი | | | | | | |
| 19:45 | 7 | ლუცერნი-ქსამაქსი | 2.00 | 3.10 | 3.50 | 1.21 | 1.27 | 1.64 |
| 19:45 | 8 | თუნი-სიონი | 2.60 | 3.10 | 2.50 | 1.41 | 1.27 | 1.38 |
| | | 22 ივლისი | | | | | | |
| 18:00 | 9 | აარაუ-იანგ ბოიზი | 3.20 | 3.20 | 2.10 | 1.60 | 1.26 | 1.26 |
| 22:15 | 10 | ბაზელი-ციურიხი | 1.90 | 3.20 | 3.75 | 1.19 | 1.26 | 1.72 |
| | | **შვეიცარია. ჩელენჯლიგა** | | | | | | |
| | | 20 ივლისი | | | | | | |
| 21:45 | 12 | ფკ გოსაუ-ვოლენი | 2.35 | 3.20 | 2.55 | 1.35 | 1.22 | 1.41 |
| 21:45 | 13 | ლოკარნო-შო დე ფონი | 2.25 | 3.20 | 2.70 | 1.32 | 1.22 | 1.46 |
| | | 21 ივლისი | | | | | | |
| 21:30 | 11 | დელემონი-ვინტერთური | 2.35 | 3.20 | 2.55 | 1.35 | 1.22 | 1.41 |
| 21:30 | 14 | ლუგანო-ბელინცონა | 2.45 | 3.20 | 2.45 | 1.38 | 1.22 | 1.38 |
| 19:30 | 15 | შაფჰაუზენი-კონკორდია | 1.80 | 3.30 | 3.70 | 1.16 | 1.21 | 1.74 |
| 21:30 | 16 | სერვეტი-კრიენსი | 2.20 | 3.20 | 2.80 | 1.30 | 1.23 | 1.49 |
| 20:00 | 18 | ვილი-ჩამი | 1.45 | 3.70 | 6.00 | 1.04 | 1.16 | 2.28 |
| 20:00 | 19 | ივერდონი-ლოზანა | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| | | **რუსეთი** | | | | | | |
| | | 20 ივლისი | | | | | | |
| 19:00 | 20 | დინამო მ-ამკარი | 1.60 | 3.10 | 6.00 | 1.05 | 1.26 | 2.04 |
| | | 21 ივლისი | | | | | | |
| 21:00 | 21 | როსტოვი-ენერგია | 2.05 | 2.70 | 4.00 | 1.16 | 1.35 | 1.61 |
| 16:30 | 22 | სატურნი-ტომსკი | 1.90 | 2.80 | 4.50 | 1.13 | 1.33 | 1.72 |
| 14:00 | 23 | სპარტაკი მ-ზენიტი | 2.35 | 2.90 | 2.95 | 1.29 | 1.30 | 1.46 |
| 18:30 | 24 | მოსკოვი-კრილია | 1.85 | 2.80 | 4.50 | 1.11 | 1.31 | 1.72 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 22 ივლისი | | | | | | |
| 18:00 | 26 | ლოკომოტივი მ-ცსკა მ | 2.70 | 2.70 | 2.70 | 1.35 | 1.35 | 1.35 |
| 20:30 | 27 | ნალჩიკი-ყუბანი | 2.15 | 2.60 | 3.80 | 1.17 | 1.37 | 1.54 |
| | | **სლოვაკეთი** | | | | | | |
| | | 20 ივლისი | | | | | | |
| 21:30 | 29 | სინეცი-ნიტრა | 2.40 | 3.00 | 2.70 | 1.33 | 1.27 | 1.42 |
| | | 21 ივლისი | | | | | | |
| 21:30 | 28 | დუბნიცა-რუჟომბეროკი | 2.40 | 3.00 | 2.70 | 1.33 | 1.27 | 1.42 |
| 21:30 | 30 | ტრენჩინი-ბ.ბისტრიცა | 2.55 | 2.90 | 2.60 | 1.35 | 1.28 | 1.37 |
| 21:30 | 31 | ტრნავა-კოშიცე | 1.80 | 3.20 | 3.90 | 1.15 | 1.23 | 1.75 |
| | | 22 ივლისი | | | | | | |
| 20:30 | 32 | ჟილინა-არტმედია ბრ | 1.75 | 3.30 | 4.00 | 1.14 | 1.21 | 1.80 |
| 12:30 | 33 | ზლატე მორავცე-სლოვანი | 2.85 | 3.00 | 2.30 | 1.46 | 1.27 | 1.30 |
| | | **ხორვატია** | | | | | | |
| | | 20 ივლისი | | | | | | |
| 22:00 | 39 | ინტერი ზ-რიეკა | 2.50 | 3.10 | 2.50 | 1.38 | 1.25 | 1.38 |
| | | 21 ივლისი | | | | | | |
| 20:00 | 34 | ციბალია-ვარტექსი | 2.25 | 3.10 | 2.80 | 1.30 | 1.24 | 1.47 |
| 22:00 | 35 | დინამო-შიბენიკი | 1.17 | 5.50 | 10.50 | 1.00 | 1.05 | 3.60 |
| 20:00 | 36 | მედიმური-ზაგრები | 2.40 | 3.10 | 2.55 | 1.35 | 1.23 | 1.39 |
| | | 22 ივლისი | | | | | | |
| 22:00 | 37 | ოსიეკი-სლავენი | 2.10 | 3.10 | 3.10 | 1.25 | 1.25 | 1.54 |
| 20:00 | 38 | ზადარი-პაიდუკი | 8.00 | 4.20 | 1.30 | 2.75 | 1.11 | 1.00 |
| | | **სლოვენია** | | | | | | |
| | | 21 ივლისი | | | | | | |
| 22:00 | 277 | პუბლიკუმი-პრიმორიე | 2.00 | 3.10 | 3.20 | 1.21 | 1.23 | 1.57 |
| | | 22 ივლისი | | | | | | |
| 20:15 | 278 | დრავა -მარიბორი | 2.25 | 3.00 | 2.80 | 1.28 | 1.24 | 1.44 |
| 20:15 | 279 | კოპერი-ლივარი | 1.40 | 3.70 | 7.00 | 1.01 | 1.16 | 2.42 |
| 22:00 | 280 | გორიცა-დომჟალე | 2.30 | 3.00 | 2.75 | 1.30 | 1.25 | 1.43 |
| | | **დანია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | 21 ივლისი | | | | | | |
| 19:00 | 45 | ბრონდბი-ნორდსიელანდი | 1.55 | 3.60 | 5.50 | 1.08 | 1.20 | 2.17 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 22 ივლისი | | | | | | |
| 20:00 | 44 | ორჰუსი-ოდენსე | 3.30 | 3.20 | 2.00 | 1.62 | 1.24 | 1.23 |
| 18:00 | 47 | ლიუნგბიუ-რანდერსი | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| 16:00 | 48 | ვიბორგი-ესბიერგი | 2.60 | 3.20 | 2.40 | 1.43 | 1.24 | 1.37 |
| | | 23 ივლისი | | | | | | |
| 21:00 | 46 | პორსენსი-მიდტიულანდი | 3.50 | 3.30 | 1.90 | 1.69 | 1.23 | 1.20 |
| | | **ნორვეგია. ტიპელიგა** | | | | | | |
| | | 21 ივლისი | | | | | | |
| 21:00 | 49 | სანდეფიორდი-ლინი | 2.75 | 3.30 | 2.30 | 1.50 | 1.25 | 1.35 |
| | | 22 ივლისი | | | | | | |
| 20:00 | 50 | ბრანი-სტაბეკი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 20:00 | 51 | ფრედრიკსტადი-ლილესტრომი | 2.95 | 3.30 | 2.15 | 1.55 | 1.24 | 1.30 |
| 20:00 | 52 | ოდ გრენლანდი-სტრომსგოდსეტი | 2.05 | 3.30 | 3.20 | 1.26 | 1.24 | 1.62 |
| 20:00 | 53 | სტარტი-ალესუნდი | 1.80 | 3.50 | 3.90 | 1.18 | 1.23 | 1.84 |
| 22:00 | 54 | რუსენბორგი-ვიკინგი | 1.90 | 3.40 | 3.70 | 1.21 | 1.25 | 1.77 |
| | | 23 ივლისი | | | | | | |
| 21:00 | 55 | ვოლერენგა-ტრომსიო | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| | | **ნორვეგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | 21 ივლისი | | | | | | |
| 18:00 | 56 | მოლდე-ლოვ ჰამი | 1.40 | 4.50 | 6.00 | 1.06 | 1.13 | 2.57 |
| | | 22 ივლისი | | | | | | |
| 20:00 | 57 | ბოდიო გლიმტი-სპარტა ს | 1.30 | 4.65 | 8.00 | 1.01 | 1.11 | 2.94 |
| 20:00 | 58 | ბრინი-რაუფოსი | 1.40 | 4.00 | 7.00 | 1.03 | 1.16 | 2.54 |
| 20:00 | 59 | ჰამარი-ნოტოდენი | 1.30 | 4.60 | 8.00 | 1.01 | 1.11 | 2.92 |
| 20:00 | 60 | ჰაუგესუნდი-სოგნდალი | 2.50 | 3.30 | 2.50 | 1.42 | 1.25 | 1.42 |
| 20:00 | 61 | კონგსვინგერი-პორსგრუნი | 2.20 | 3.30 | 2.85 | 1.32 | 1.24 | 1.52 |
| 20:00 | 62 | სკეიდი-მანდალი | 1.80 | 3.50 | 3.80 | 1.18 | 1.22 | 1.82 |
| 20:00 | 63 | ტრომსდალენი-მოსი | 2.70 | 3.30 | 2.35 | 1.48 | 1.25 | 1.37 |
| | | **შვედეთი. ალსვენსკა** | | | | | | |
| | | 21 ივლისი | | | | | | |
| 20:00 | 68 | იურგორდენი-ელფსბორგი | 2.20 | 3.10 | 2.90 | 1.28 | 1.25 | 1.49 |
| | | 23 ივლისი | | | | | | |
| 21:00 | 69 | ბრომაპოიკარნა-ტრელებორგი | 2.05 | 3.10 | 3.30 | 1.23 | 1.26 | 1.59 |
| 21:00 | 70 | ჰელსინგბორგი-აიკ | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10001 | შტურმი-ლინცერი | 2.30 | 2.10 | 4.20 | 1.09 | 1.48 | 1.39 |
| 10003 | ავსტრია კ-რიდი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10004 | აუსტრია-ზალცბურგი | 3.20 | 2.00 | 2.75 | 1.23 | 1.47 | 1.15 |
| 10005 | ტიროლი-მატერსბურგი | 2.85 | 2.00 | 2.95 | 1.17 | 1.44 | 1.19 |
| 10007 | ლუცერნი-ქსამაქსი | 2.45 | 2.00 | 3.85 | 1.10 | 1.49 | 1.31 |
| 10008 | თუნი-სიონი | 3.00 | 2.00 | 2.85 | 1.20 | 1.46 | 1.17 |
| 10009 | აარაუ-იანგ ბოიზი | 3.60 | 2.00 | 2.50 | 1.28 | 1.47 | 1.11 |
| 10010 | ბაზელი-ციურიხი | 2.35 | 2.10 | 4.20 | 1.10 | 1.50 | 1.39 |
| 10020 | დინამო მ-ამკარი | 2.05 | 2.10 | 5.50 | 1.03 | 1.49 | 1.51 |
| 10021 | როსტოვი-ენერგია | 2.45 | 1.80 | 4.50 | 1.03 | 1.58 | 1.28 |
| 10022 | სატურნი-ტომსკი | 2.35 | 1.90 | 4.50 | 1.05 | 1.54 | 1.33 |
| 10023 | სპარტაკი მ-ზენიტი | 2.75 | 1.90 | 3.35 | 1.12 | 1.51 | 1.21 |
| 10024 | მოსკოვი-კრილია | 2.30 | 1.90 | 4.30 | 1.04 | 1.49 | 1.31 |
| 10026 | ლოკომოტივი მ-ცსკა მ | 3.10 | 1.90 | 3.10 | 1.17 | 1.54 | 1.17 |
| 10027 | ნალჩიკი-ყუბანი | 2.55 | 1.90 | 4.20 | 1.08 | 1.58 | 1.30 |
| 10049 | სანდეფიორდი-ლინი | 3.15 | 2.10 | 2.75 | 1.25 | 1.46 | 1.19 |
| 10050 | ბრანი-სტაბეკი | 2.55 | 2.00 | 3.50 | 1.12 | 1.47 | 1.27 |
| 10051 | ფრედრიკსტადი-ლილესტრომი | 3.30 | 2.10 | 2.55 | 1.28 | 1.43 | 1.15 |
| 10052 | ოდ გრენლანდი-სტრომსგოდსეტი | 2.55 | 2.00 | 3.60 | 1.12 | 1.49 | 1.28 |
| 10053 | სტარტი-ალესუნდი | 2.25 | 2.20 | 4.30 | 1.11 | 1.47 | 1.45 |
| 10054 | რუსენბორგი-ვიკინგი | 2.35 | 2.20 | 4.20 | 1.13 | 1.50 | 1.44 |
| 10055 | ვოლერენგა-ტრომსიო | 2.25 | 2.10 | 4.30 | 1.08 | 1.47 | 1.41 |
| 10068 | იურგორდენი-ელფსბორგი | 2.65 | 2.00 | 3.35 | 1.13 | 1.47 | 1.25 |
| 10069 | ბრომაპოიკარნა-ტრელებორგი | 2.50 | 2.00 | 3.65 | 1.11 | 1.48 | 1.29 |
| 10070 | ჰელსინგბორგი-აიკ | 2.55 | 2.00 | 3.40 | 1.12 | 1.45 | 1.25 |
| 10185 | შალკე-კარლსრუე(ნ) | 2.15 | 2.00 | 4.90 | 1.03 | 1.49 | 1.42 |
| 10186 | ვერდერი-ბაიერნი(ნ) | 3.80 | 2.00 | 2.45 | 1.31 | 1.48 | 1.10 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11001 | შტურმი-ლინცერი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11003 | ავსტრია კ-რიდი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11004 | აუსტრია-ზალცბურგი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11005 | ტიროლი-მატერსბურგი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11007 | ლუცერნი-ქსამაქსი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11008 | თუნი-სიონი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11009 | აარაუ-იანგ ბოიზი | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11010 | ბაზელი-ციურიხი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11020 | დინამო მ-ამკარი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11021 | როსტოვი-ენერგია | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11022 | სატურნი-ტომსკი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11023 | სპარტაკი მ-ზენიტი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11024 | მოსკოვი-კრილია | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11026 | ლოკომოტივი მ-ცსკა მ | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11027 | ნალჩიკი-ყუბანი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11049 | სანდეფიორდი-ლინი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11050 | ბრანი-სტაბეკი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11051 | ფრედრიკსტადი-ლილესტრომი | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11052 | ოდ გრენლანდი-სტრომსგოდსეტი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11053 | სტარტი-ალესუნდი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11054 | რუსენბორგი-ვიკინგი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11055 | ვოლერენგა-ტრომსიო | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11068 | იურგორდენი-ელფსბორგი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11069 | ბრომაპოიკარნა-ტრელებორგი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11070 | ჰელსინგბორგი-აიკ | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11185 | შალკე-კარლსრუე(ნ) | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11186 | ვერდერი-ბაიერნი(ნ) | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **შვედეთი. სუპერეტა** | | | | | | |
| | | **21 ივლისი** | | | | | | |
| 18:00 | 74 | დეგერფორსი-ხირიუსი | 2.60 | 3.20 | 2.35 | 1.43 | 1.23 | 1.35 |
| | | **22 ივლისი** | | | | | | |
| 19:00 | 75 | მიალბი-ლანდსკრონა | 2.25 | 3.20 | 2.75 | 1.32 | 1.23 | 1.47 |
| 19:00 | 76 | ატვიდაბერგი-სუნდსვალი | 2.25 | 3.20 | 2.75 | 1.32 | 1.23 | 1.47 |
| | | **23 ივლისი** | | | | | | |
| 21:00 | 77 | ბანკეფლო-პეკენი | 2.50 | 3.20 | 2.40 | 1.40 | 1.22 | 1.37 |
| 21:00 | 78 | ენჩიოპინგი-ფალკენბერგი | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| 21:00 | 79 | ლიუნგსკილე-ნორჩიოპინგი | 3.50 | 3.30 | 1.85 | 1.69 | 1.21 | 1.18 |
| 21:00 | 80 | სილვია-იისტერსი | 2.55 | 3.20 | 2.45 | 1.41 | 1.24 | 1.38 |
| 22:45 | 81 | იონკოპინგი-იორგრიტე | 2.90 | 3.20 | 2.15 | 1.52 | 1.23 | 1.28 |
| | | **ირლანდია** | | | | | | |
| | | **20 ივლისი** | | | | | | |
| 22:00 | 94 | გალვეი-ბრეი | 2.15 | 3.10 | 3.00 | 1.26 | 1.25 | 1.52 |
| 22:45 | 95 | უოტერფორდი-სლიგო | 2.45 | 3.10 | 2.60 | 1.36 | 1.26 | 1.41 |
| | | **21 ივლისი** | | | | | | |
| 22:00 | 92 | ბოჰემიანი-დერი | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| 22:30 | 97 | ლონგფორდი-დუბლინი | 2.90 | 3.00 | 2.30 | 1.47 | 1.28 | 1.30 |
| | | **აშშ** | | | | | | |
| | | **22 ივლისი** | | | | | | |
| 23:45 | 99 | ნიუ ინგლენდი-ჰიუსტონი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 23:45 | 100 | კოლამბუსი-ტორონტო | 1.85 | 3.20 | 3.70 | 1.17 | 1.23 | 1.71 |
| 23:45 | 101 | ნიუ იორკი-ვაშინგტონი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 23:45 | 102 | კანზასი-კოლორადო | 1.70 | 3.40 | 4.30 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| | | **ამხანაგური მატჩები** | | | | | | |
| | | **20 ივლისი** | | | | | | |
| 17:00 | 253 | ოხერი-ლივერპული(ნ) | 3.80 | 3.30 | 1.80 | 1.76 | 1.22 | 1.16 |
| 21:00 | 254 | ჰანოვერი-ტვენტე | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| 21:00 | 255 | ალემანია-აალენი | 1.55 | 3.50 | 5.20 | 1.07 | 1.19 | 2.09 |
| 21:00 | 256 | ვუპერტალი-ფრანკფურტი | 4.20 | 3.30 | 1.70 | 1.84 | 1.21 | 1.12 |
| 21:00 | 257 | ბრაიტონი-ფულემი | 5.20 | 3.50 | 1.55 | 2.09 | 1.19 | 1.07 |
| 15:00 | 260 | ფკ ხუილი-მანჩესტერი | 6.50 | 4.10 | 1.35 | 2.51 | 1.11 | 1.01 |
| | | **21 ივლისი** | | | | | | |
| 18:00 | 258 | ბარნლი-მიდლსბრო | 3.00 | 3.20 | 2.10 | 1.54 | 1.23 | 1.26 |
| 18:00 | 259 | კარლაილი-ნიუკასლი | 6.00 | 3.70 | 1.45 | 2.28 | 1.16 | 1.04 |
| | | **გერმანია. თასი** | | | | | | |
| | | **21 ივლისი** | | | | | | |
| 17:30 | 185 | შალკე-კარლსრუე(ნ) | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| 20:00 | 186 | ვერდერი-ბაიერნი(ნ) | 3.40 | 3.20 | 2.00 | 1.64 | 1.25 | 1.23 |
| | | **აზიის თასი 2007** | | | | | | |
| | | **21 ივლისი** | | | | | | |
| 14:20 | 261 | იაპონია-ავსტრალია (ნ) | 2.45 | 3.00 | 2.70 | 1.34 | 1.28 | 1.42 |
| 17:20 | 262 | ერაყი-ვიეტნამი(ნ) | 1.50 | 3.50 | 5.50 | 1.04 | 1.17 | 2.13 |
| | | **22 ივლისი** | | | | | | |
| 14:20 | 263 | სამ კორეა-ირანი(ნ) | 2.90 | 2.80 | 2.30 | 1.42 | 1.28 | 1.26 |
| 17:20 | 264 | ს არაბეთი-უზბეკეთი(ნ) | 2.10 | 3.10 | 3.00 | 1.25 | 1.23 | 1.52 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო)
## (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12001 | შტურმი-ლინცერი | 1.70 | 1.90 |
| 12003 | ავსტრია კ-რიდი | 1.70 | 1.90 |
| 12004 | აუსტრია-ზალცბურგი | 1.70 | 1.90 |
| 12005 | ტიროლი-მატერსბურგი | 1.70 | 1.90 |
| 12007 | ლუცერნი-ქსამაქსი | 1.90 | 1.70 |
| 12008 | თუნი-სიონი | 1.90 | 1.70 |
| 12009 | აარაუ-იანგ ბოიზი | 1.90 | 1.70 |
| 12010 | ბაზელი-ციურიხი | 2.00 | 1.60 |
| 12020 | დინამო მ-ამკარი | 1.60 | 2.00 |
| 12021 | როსტოვი-ენერგია | 1.50 | 2.10 |
| 12022 | სატურნი-ტომსკი | 1.60 | 2.00 |
| 12023 | სპარტაკი მ-ზენიტი | 1.70 | 1.90 |
| 12024 | მოსკოვი-კრილია | 1.60 | 2.00 |
| 12026 | ლოკომოტივი მ-ცსკა მ | 1.60 | 2.00 |
| 12027 | ნალჩიკი-კუბანი | 1.50 | 2.10 |
| 12049 | სანდეფიორდი-ლინი | 2.00 | 1.60 |
| 12050 | ბრანი-სტაბეკი | 2.10 | 1.50 |
| 12051 | ფრედრიკსტადი-ლილესტრიომი | 2.00 | 1.60 |
| 12052 | ოდ გრენლანდი-სტრიომსგოდსეტი | 2.00 | 1.60 |
| 12053 | სტარტი-ალესუნდი | 2.00 | 1.60 |
| 12054 | რუსენბორგი-ვიკინგი | 2.10 | 1.55 |
| 12055 | ვოლერენგა-ტრომსიო | 1.90 | 1.70 |
| 12068 | იურგორდენი-ელფსბორგი | 1.70 | 1.90 |
| 12069 | ბრომაპოიკარნა-ტრელებორგი | 1.70 | 1.90 |
| 12070 | ჰელსინგბორგი-აიკ | 1.85 | 1.70 |
| 12185 | შალკე-კარლსრუე(ნ) | 2.00 | 1.60 |
| 12186 | ვერდერი-ბაიერნი(ნ) | 2.00 | 1.60 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს
## (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13001 | შტურმი-ლინცერი | 1.70 | 1.90 |
| 13003 | ავსტრია კ-რიდი | 1.70 | 1.90 |
| 13004 | აუსტრია-ზალცბურგი | 1.70 | 1.90 |
| 13005 | ტიროლი-მატერსბურგი | 1.70 | 1.90 |
| 13007 | ლუცერნი-ქსამაქსი | 1.70 | 1.90 |
| 13008 | თუნი-სიონი | 1.55 | 2.10 |
| 13009 | აარაუ-იანგ ბოიზი | 1.60 | 2.00 |
| 13010 | ბაზელი-ციურიხი | 1.60 | 2.00 |
| 13049 | სანდეფიორდი-ლინი | 1.55 | 2.10 |
| 13050 | ბრანი-სტაბეკი | 1.45 | 2.30 |
| 13051 | ფრედრიკსტადი-ლილესტრიომი | 1.50 | 2.10 |
| 13052 | ოდ გრენლანდი-სტრიომსგოდსეტი | 1.55 | 2.10 |
| 13053 | სტარტი-ალესუნდი | 1.60 | 2.00 |
| 13054 | რუსენბორგი-ვიკინგი | 1.50 | 2.10 |
| 13055 | ვოლერენგა-ტრომსიო | 1.60 | 2.00 |
| 13068 | იურგორდენი-ელფსბორგი | 1.70 | 1.90 |
| 13069 | ბრომაპოიკარნა-ტრელებორგი | 1.70 | 1.90 |
| 13070 | ჰელსინგბორგი-აიკ | 1.70 | 1.90 |
| 13185 | შალკე-კარლსრუე(ნ) | 1.60 | 2.00 |
| 13186 | ვერდერი-ბაიერნი(ნ) | 1.60 | 2.00 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14001 | შტურმი-ლინცერი | 1.65 | 2.30 |
| 14003 | ავსტრია კ-რიდი | 1.80 | 2.00 |
| 14004 | აუსტრია-ზალცბურგი | 2.00 | 1.80 |
| 14005 | ტიროლი-მატერსბურგი | 1.85 | 1.95 |
| 14007 | ლუცერნი-ქსამაქსი | 1.70 | 2.20 |
| 14008 | თუნი-სიონი | 1.95 | 1.85 |
| 14009 | აარაუ-იანგ ბოიზი | 2.10 | 1.75 |
| 14010 | ბაზელი-ციურიხი | 1.70 | 2.20 |
| 14020 | დინამო მ-ამკარი | 1.30 | 2.50 |
| 14021 | როსტოვი-ენერგია | 1.75 | 2.10 |
| 14022 | სატურნი-ტომსკი | 1.70 | 2.20 |
| 14023 | სპარტაკი მ-ზენიტი | 1.80 | 2.00 |
| 14024 | მოსკოვი-კრილია | 1.65 | 2.30 |
| 14026 | ლოკომოტივი მ-ცსკა მ | 1.90 | 1.90 |
| 14027 | ნალჩიკი-კუბანი | 1.75 | 2.10 |
| 14049 | სანდეფიორდი-ლინი | 2.00 | 1.80 |
| 14050 | ბრანი-სტაბეკი | 1.75 | 2.10 |
| 14051 | ფრედრიკსტადი-ლილესტრიომი | 2.10 | 1.75 |
| 14052 | ოდ გრენლანდი-სტრიომსგოდსეტი | 1.75 | 2.10 |
| 14053 | სტარტი-ალესუნდი | 1.65 | 2.30 |
| 14054 | რუსენბორგი-ვიკინგი | 1.70 | 2.20 |
| 14055 | ვოლერენგა-ტრომსიო | 1.65 | 2.30 |
| 14068 | იურგორდენი-ელფსბორგი | 1.80 | 2.00 |
| 14069 | ბრომაპოიკარნა-ტრელებორგი | 1.75 | 2.10 |
| 14070 | ჰელსინგბორგი-აიკ | 1.75 | 2.10 |
| 14185 | შალკე-კარლსრუე(ნ) | 1.45 | 2.40 |
| 14186 | ვერდერი-ბაიერნი(ნ) | 2.20 | 1.70 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15001 | შტურმი-ლინცერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15003 | ავსტრია კ-რიდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15004 | აუსტრია-ზალცბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15005 | ტიროლი-მატერსბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15007 | ლუცერნი-ქსამაქსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15008 | თუნი-სიონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15009 | აარაუ-იანგ ბოიზი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15010 | ბაზელი-ციურიხი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15020 | დინამო მ-ამკარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15021 | როსტოვი-ენერგია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15022 | სატურნი-ტომსკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15023 | სპარტაკი მ-ზენიტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15024 | მოსკოვი-კრილია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15026 | ლოკომოტივი მ-ცსკა მ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15027 | ნალჩიკი-კუბანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15049 | სანდეფიორდი-ლინი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15050 | ბრანი-სტაბეკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15051 | ფრედრიკსტადი-ლილესტრიომი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15052 | ოდ გრენლანდი-სტრიომსგოდსეტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15053 | სტარტი-ალესუნდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15054 | რუსენბორგი-ვიკინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15055 | ვოლერენგა-ტრომსიო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15068 | იურგორდენი-ელფსბორგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15069 | ბრომაპოიკარნა-ტრელებორგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15070 | ჰელსინგბორგი-აიკ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15185 | შალკე-კარლსრუე(ნ) | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15186 | ვერდერი-ბაიერნი(ნ) | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფრეს გარეშე
## (ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16001 | შტურმი-ლინცერი | 1.32 | 3.00 |
| 16003 | ავსტრია კ-რიდი | 1.62 | 2.05 |
| 16004 | აუსტრია-ზალცბურგი | 1.95 | 1.65 |
| 16005 | ტიროლი-მატერსბურგი | 1.80 | 1.85 |
| 16007 | ლუცერნი-ქსამაქსი | 1.40 | 2.55 |
| 16008 | თუნი-სიონი | 1.82 | 1.82 |
| 16009 | აარაუ-იანგ ბოიზი | 2.20 | 1.50 |
| 16010 | ბაზელი-ციურიხი | 1.34 | 2.80 |
| 16020 | დინამო მ-ამკარი | 1.22 | 3.40 |
| 16021 | როსტოვი-ენერგია | 1.45 | 2.45 |
| 16022 | სატურნი-ტომსკი | 1.34 | 2.80 |
| 16023 | სპარტაკი მ-ზენიტი | 1.65 | 2.05 |
| 16024 | მოსკოვი-კრილია | 1.32 | 3.00 |
| 16026 | ლოკომოტივი მ-ცსკა მ | 1.80 | 1.80 |
| 16027 | ნალჩიკი-კუბანი | 1.52 | 2.20 |
| 16049 | სანდეფიორდი-ლინი | 1.95 | 1.65 |
| 16050 | ბრანი-სტაბეკი | 1.50 | 2.30 |
| 16051 | ფრედრიკსტადი-ლილესტრიომი | 2.05 | 1.62 |
| 16052 | ოდ გრენლანდი-სტრიომსგოდსეტი | 1.45 | 2.45 |
| 16053 | სტარტი-ალესუნდი | 1.30 | 3.00 |
| 16054 | რუსენბორგი-ვიკინგი | 1.34 | 2.80 |
| 16055 | ვოლერენგა-ტრომსიო | 1.30 | 3.00 |
| 16068 | იურგორდენი-ელფსბორგი | 1.55 | 2.20 |
| 16069 | ბრომაპოიკარნა-ტრელებორგი | 1.45 | 2.45 |
| 16070 | ჰელსინგბორგი-აიკ | 1.50 | 2.30 |
| 16185 | შალკე-კარლსრუე(ნ) | 1.24 | 3.60 |
| 16186 | ვერდერი-ბაიერნი(ნ) | 2.30 | 1.45 |

## გოლი:ლუწი-1 თუ კენტი-2
## (0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17001 | შტურმი-ლინცერი | 1.85 | 1.95 |
| 17003 | ავსტრია კ-რიდი | 1.85 | 1.95 |
| 17004 | აუსტრია-ზალცბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17005 | ტიროლი-მატერსბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17007 | ლუცერნი-ქსამაქსი | 1.85 | 1.95 |
| 17008 | თუნი-სიონი | 1.85 | 1.95 |
| 17009 | აარაუ-იანგ ბოიზი | 1.85 | 1.95 |
| 17010 | ბაზელი-ციურიხი | 1.85 | 1.95 |
| 17020 | დინამო მ-ამკარი | 1.85 | 1.95 |
| 17021 | როსტოვი-ენერგია | 1.85 | 1.95 |
| 17022 | სატურნი-ტომსკი | 1.85 | 1.95 |
| 17023 | სპარტაკი მ-ზენიტი | 1.85 | 1.95 |
| 17024 | მოსკოვი-კრილია | 1.85 | 1.95 |
| 17026 | ლოკომოტივი მ-ცსკა მ | 1.85 | 1.95 |
| 17027 | ნალჩიკი-კუბანი | 1.85 | 1.95 |
| 17049 | სანდეფიორდი-ლინი | 1.85 | 1.95 |
| 17050 | ბრანი-სტაბეკი | 1.85 | 1.95 |
| 17051 | ფრედრიკსტადი-ლილესტრიომი | 1.85 | 1.95 |
| 17052 | ოდ გრენლანდი-სტრიომსგოდსეტი | 1.85 | 1.95 |
| 17053 | სტარტი-ალესუნდი | 1.85 | 1.95 |
| 17054 | რუსენბორგი-ვიკინგი | 1.85 | 1.95 |
| 17055 | ვოლერენგა-ტრომსიო | 1.85 | 1.95 |
| 17068 | იურგორდენი-ელფსბორგი | 1.85 | 1.95 |
| 17069 | ბრომაპოიკარნა-ტრელებორგი | 1.85 | 1.95 |
| 17070 | ჰელსინგბორგი-აიკ | 1.85 | 1.95 |
| 17185 | შალკე-კარლსრუე(ნ) | 1.85 | 1.95 |
| 17186 | ვერდერი-ბაიერნი(ნ) | 1.85 | 1.95 |

# მეთერთმეტე გამყრელიძე

## დღეს დილომში ფაჩულიას ელიან



ლაშა გამყრელიძე ნაკრებს შეუერთდა

**გუშინ** საქართველოს ნაკრებს ერთი მოთამაშე შეემატა — ლაშა გამყრელიძე და კენ შილდსის განკარგულებაში ახლა უკვე 11 კალათბურთელია.

შეკრება 18 ივლისს დაიწყო, თუმც გამოძახებული 16 კანდიდატის ნაცვლად დილმის ბაზაზე თავიდან, მხოლოდ 10 მოთამაშე გამოცხადდა. აი, ისინიც:

გიორგი ცინცაძე, მანუჩარ მარკოიშვილი, ვახტანგ ნაცვლიშვილი, კოტე ტუღუში, ანატოლი ბოისა, გიორგი მარკოიშვილი, ბესიკ ლეჟავა, ზვიად ბაბიაშვილი, დავით უგრეხელიძე და გიორგი შერმადინი.

გუშინ ნაკრებს გამყრელიძე შეუერთდა და დღეს ალბათ ზაზა ფაჩულიაც გამოჩნდება. რაც შეეხება დანარჩენ ოთხ ლეგიონერს: ვიქტორ სანიკიძის, ვლადიმერ ბოისას, ნიკოლოზ ცქიტიშვილის და ტაირონ ელისის ნაკრებთან დრო საკითხი ჯერაც უცნობია. ბოისა და ელისი საქართველოში არ ჩამოვლენ და ნაკრებს რომელიმე ევროპულ ტურნეზე შეუერთდებიან, ხოლო სანიკიძეს და ცქიტიშვილს დღე-დღეზე ელოდებიან.

კენ შილდსი საქართველოს ნაკრებს 22 ივლისამდე ავარჯიშებს თბილისში და მერე ბულგარეთში, საერთაშორისო ტურნირზე გაუძღვება, სადაც ჩვენი მეტოქეები დანიის, მაკედონიისა და ბულგარეთის ეროვნული გუნდები იქნებიან.

**ირაკლი ბერტაია**

# ახალგაზრდული კმაყოფილება: კარგია

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები კარგა ხნის მანძილზე ჩვენი მთავარი თემა იყო და მას ერთხელაც უნდა მივუბრუნდეთ. თუკი აქამდე ჩვენ ვაფასებდით 20-წლამდელთა ევროჩემპიონატზე გამოსვლას, ახლა თავად ნაკრების მწვრთნელის აზრი მოვისმინოთ. ახალგაზრდული ნაკრები სლოვენიიდან ამ დღეებში დაბრუნდა და პრესკონფერენციამაც არ დააყოვნა



გელა წულაძე და დავით უსტიაშვილი

**დავით უსტიაშვილი,** ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი:

— ევროპის ჩემპიონატზე ჩვენს გამოსვლას დადებითად შევაფასებდი. იქიდან გამომდინარე, რომ თითქმის გამოუცდელი გუნდით ვიყავით ასეთი დონის ტურნირზე, A დივიზიონში ადგილის შენარჩუნება ურიგო შედეგი ნამდვილად არაა...

— ევროპის ჩემპიონატ მარათონული შეჯიბრი იყო. 9 დღეში 8 თამაში ძალიან დამღლელია და ამას მხოლოდ ფიზიკურად იდეალურად მომზადებული გუნდები თუ გაუძლებენ. ჩვენ ერთი თვე ვემზადებოდით ტურნირისთვის, მაგრამ იქ იყვნენ გაცილებით უკეთეს ფორმაში მყოფი გუნდები...

— ჩავედით თუ არა, პირველივე თამაში 30 ქულით მოვიგეთ ლატვიასთან და ჯგუფიდან გასვლა თითქმის გავინაღდეთ. იტალიას არ ჰყავდა ისეთი გუნდი, რომლის დამარცხებაც არ შეიძლებოდა, მაგრამ ტრავმებმა შეგვაწუხა. მოგეხსენებათ, გუნდის კაპიტანი რევაზ დიდია ჩემპიონატის დაწყებამდე 2 დღით ადრე დაშავდა ეროვნული ნაკრების ვარჯიშზე და სლოვენია-იტალიაში სტაბილურობა აკლდა. ერთ მატჩს რომ ითამაშებდა, მერე დასვენება ესაჭიროებოდა. სხვა მოთამაშეებსაც ჰქონდათ მცირე ტრავმები და სრული საბრძოლო შემადგენლობა პირველი მატჩის შემდეგ ველარ შევკრიბეთ.

**გელა წულაძე,** ასისტენტი მწვრთნელი:

— შედეგით კმაყოფილი ვარ. ძალიან მომქანცველი ტურნირი იყო და ბოლოს რომ ველარ მოვიგეთ, არ მიკვირს. იტალიის დამარცხება შეიძლებოდა, მაგრამ ძალა არ გვეყო. კლასში არანაირად არ ჩამოვრჩებოდით. პირველი ჯგუფის ბოლო ტურში კი მძლავრი ბულგარეთი დავამარცხეთ, რაც თითქმის გმირობის ტოლფასი იყო. მსაჯები აშკარად ჩვენს მეტოქეს უდგებოდნენ და სულ ბოლოს, დრო უკვე ამოწურული რომ იყო და ქულას ვიგებდით, გამოგონილი ჯარიმა მოგვცეს. საბედნიეროდ, სამართალმა პური ჭამა და ბულგარელთა ლიდერმა ორივე სროლა ააცილა. მერე ფირს არაერთხელ ვუყურეთ და დავრწმუნდით — ჯარიმა არ იყო.

**რევაზ დიდია,** ნაკრების კაპიტანი:

— მართალია, ტრავმა სერიოზული არ ყოფილა, მაგრამ როცა დავიღლებოდი, ტკივილი მაწუხებდა და ბოლომდე ვერ ვიხარჯებოდი. მიუხედავად იმისა, რომ მეორე ეტაპზე ყველა მატჩი წავაგეთ, მაინც დამაკმაყოფილებლად შევაფასებდი ჩვენს გამოსვლას. A დივიზიონში ადგილის შენარჩუნება იოლი საქმე არ ყოფილა.

**გიორგი შერმადინი,** ცენტრალური თავდამსხმელი:

— კარგია, რომ A დივიზიონში ადგილი შევინარჩუნეთ. მომავალ წელს უკვე უკეთეს შედეგზე ვიზრუნებთ, რადგან ამ ჩემპიონატზე სერიოზული გამოცდილება მივიღეთ.

**ირაკლი ბერტაია**

# ობერტო ჩემპიონად რჩება



**„სან ანტონიო სპურზმა“** ერთი დიდი პოტენციალის მოთამაშე დაკარგა, როდესაც 2002 წლის დრაფტზე არჩეული არგენტინელი ლუის სკოლა ტეხასელ მეზობელ „ჰიუსტონ“ როკიტსს“ დაუთმო. დიდი შანსია, სკოლა „რაკეტების“ ერთ-ერთ წამყვან მოთამაშედ იქცეს და იმ გუნდს დააყაროს ქულები, რომელშიც უნდა ეთამაშა. „სან ანტონიო“ ასეთ შემთხვევაში არგენტინელს მისივე თანამემამულეს, ნაკრებში თანაგუნდელს და მეგობარს დაუპირისპირებს.

წლეულს მეოთხედ გაჩემპიონებულმა „სპურზმა“ ახალი კონტრაქტი გაუფორმა არგენტინელ ფაბრისიო ობერტოს, რომელიც წინა სეზონში ტეხასელთა ძირითად ხუთეულში თამაშობდა და ტიმ დანკანთან ერთად ამაგრებდა „სპურზის“ ფარს. 31 წლის ობერტომ რეგულარული ჩემპიონატის 79 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და საშუალოდ 4,4 ქულა და 4,7 მოხსნა მიაშველა თავისიანებს. პლეი ოფშიც ის პირველიდან ფინალის უკანასკნელ შეხვედრამდე ყველა მატჩში მონაწილეობდა. ობერტო გამოცდილ კალათბურთელად ითვლება და თუმც დიდი ბარაქიანობით ვერ იხვეჭს ქულა-მოხსნებს, ეს 208-სანტიმეტრიანი მეფარე დაცვაში კარგად ასრულებს შავ სამუშაოს.

# ნოჩიონი, ჩიკაგო

**კიდევ** ერთმა არგენტინელმა ვარსკლავმა უერთგულა ძველ გუნდს. „ჩიკაგო ბულზის“ 201-სანტიმეტრიანმა მსუბუქმა ფორვარდმა ანდრეს ნოჩიონიმ „ხარებთან“ ახალი ხელშეკრულება დადო, რომლის ძალითაც ის შემდეგ 5 სეზონში 37,5 მილიონს მიიღებს. ნოჩიონის შეეძლო, სხვა გუნდში უფრო სარფიანი ჯამაგირიც ეშოვნა, დაახლოებით წლიური 10-მილიონის ფარგლებში, მაგრამ მან ძველ გუნდში დარჩენა არჩია. მართალია, „ჩიკაგოში“ ნოჩიონი ხშირად სათადარიგოდაა გამწესებული, მაგრამ ამ პერსპექტიულ გუნდში მას პლეი ოფში წარმატების საკმაოდ რეალური შანსი ექნება.

# გარნეტის მგლური გარანტია

**ზედიზედ** მესამე უპლეიოფო სეზონის შემდეგ ქალაქ მინეაპოლისში საგრძნობლად დაეცა ადგილობრივი „მინესოტა ტიმბერვულვზის“ გაუსაჩივრებელი ლიდერის კევინ გარნეტის ავტორიტეტი. უკვე კარგა ხანია, არა მხოლოდ მინეაპოლისში ლაპარაკობენ, რომ გარნეტი აფერხებს „მგლების“ განვითარებას. 2004 წელს დასავლეთის ფინალში გასვლის შემდეგ გარნეტს და მის დამქაშებს ხეირიანი არაფერი გაუკეთებიათ და ბოლოს და ბოლოს ეს კაცი უნდა წავიდეს ამ გუნდიდანო. დადიოდა ხმები, რომ გარნეტი „ფინიქსისთვის“ ამარე სტუდემაიერში უნდა გაეცვალათ“, მაგრამ ახლა კლუბის მფლობელი გლენ ტეილორი ამბობს, რომ „მგლების“ წინამძღოლის გაშვებას აღარ აპირებს.

კევინ გარნეტს მთელი თავისი კარიერა ამ გუნდში აქვს გატარებული. ის „მგლებს“ 1995 წლიდან ლიდერობს და როგორც ჩანს, მომავალშიც ულიდერებს. საკითხავია — კარგად თუ ცუდად?

# ჩინელი შინ მიდის



**ჩიხში შევიდა** „მილუოკი ბაქსისა“ და ამ გუნდის მიერ დრაფტზე მეექვსე ნომრად არჩეულ ჩინელ ცენტრ ii ძიანლიანს შორის წარმოებული მოლაპარაკება. ჩინელი უარს აცხადებს „მილუოკში“ თამაშზე და სხვა გუნდში გაცვლას ითხოვს. ამბობს, იმ ქალაქში ვითამაშებ, სადაც დიდია ჩინური დიასპორააო. „მილუოკის“ კი არ სურს მისი გაშვება.

ახლა ჩინელის ბანაკიდან ხმა გამოვიდა, თუ „მილუოკი“ გაცვლაზე არ დაგვთანხმდება, ჩვენ ბიჭს საერთოდ უკან, ჩინეთში წავიყვანთ და იქ მოვამზადებთ 2008 წლის პეკინის ოლიმპიადისთვის, სადაც ის აუცილებლად გაიბრწყინებსო.

სხვა აზრისაა ჩინეთის ნაკრების ყოფილი თავკაცი ციან ჩენხაი. ის თანამემამულეებს ამერიკელებთან საერთო ენის გამონახვისკენ მოუწოდებს და აფრთხილებს, თუ ახლა წამოიყვანთ ძიანლიანს ამერიკიდან, შეიძლება, ამით მას თავად ჩაურაზოთ ნბა-ს კარი და კარიერა დაუნგრიოთო.

**კოტე ყორშია**

# ინფორმაცია, რომელიც საქართველოსაც წაადგება

## სადაც მაყურებელი არ არის, იქ სპორტის განვითარება შეუძლებელია

**მსოფლიოს სპორტის განვითარება დგას სამ ძირითად საყრდენზე: საზოგადოებაზე სპორტული სისტემის, როგორც ზოგად რესუსრზე, თავად სპორტულ სისტემაზე და გარემოზე, რომელშიც ვითარდება სპორტული სისტემა**

**საზოგადოება**, როგორც სპორტის რესურსი მოიცავს: საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და განათლების სისტემებს, მასმედიას, მოსახლეობის განვითარებისა და დასაქმების პროცესებს, საცხოვრებელ სტანდარტებს და პირობებს, ღირებულებათა სისტემას და ბოლოს სოციალურ სამართლიანობას.

**სპორტის სისტემა**, როგორც რესურსი მაღალი სპორტული მიღწევებისა, მოიცავს: სპეციფიკურ ისტორიულ პირობებს და ოლიმპიურ ტრადიციებს, იდეოლოგიურ საფუძველს, სპორტისადმი ინტერესს და მონაწილეობის ხარისხს, ორგანიზაციულ სტრუქტურას, სამუშაო სტრუქტურას (თანამშრომელთა და ენთუზიასტთა), ფინანსებს, სპორტსმენებს, მწვრთნელებს და სპორტის სპეციალისტებს, ნიჭიერთა ალმოჩენისა და ხელშეწყობის პროცესს, მზადებას, ვარჯიშებს და შეჯიბრს, სპორტულ ბაზებსა და მოედნებს, ინფრასტრუქტურას, სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების სისტემას, სპორტსმენთა და მწვრთნელთა სოციალური უსაფრთხოების საკითხებს, დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლას, პრიორიტეტებს, თანამედროვე ტენდეციებს, სპეციფიკურ ეროვნულ პროექტებს.

**გარემო**, რომელშიც ვითარდება სპორტული სისტემა, მოიცავს: პოლიტიკურ წვლილს, საგანმანათლებლო სისტემისა და მეცნიერების როლს სპორტში წარმატებისთვის, სამხედრო სფეროს მნიშვნელობას, კერძო სექტორს — როგორც სპორტის პარტნიორს, მასმედიას — როგორც სპორტის ინტერესების გამტარებელს, მაყურებელს — როგორც სპორტული მიღწევების გამხმოვანებელს.

სპორტში მაღალი მიღწევებისათვის ტალანტების ალმოჩენისა და ხელშეწყობის პროგრამებს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. ამასთან სხვადასხვა ქვეყნის საზოგადოება ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება და შესაბამისად ეს განსხვავება დაკავშირებულია ქვეყნის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და საგანმანათლებლო სისტემებთან. ფაქტორები, რომლებიც არ შეიძლება უგულებელყოფილი იქნეს, არის დასაქმების დონე, საცხოვრებელი პირობები და ის ფასეულებები, რომელთაც პატივს სცემს ესა თუ ის საზოგადოება.

ქვეყნის სპორტის სისტემაზე საუბრისას პირველი და მნიშვნელოვანი საკითხი ის ყურადღება და ტრადიციებია, რომლებიც ამა თუ იმ ქვეყანას აქვს სპორტის მიმართ. ტრადიციები განსაზღვრავენ იდეოლოგიას, რომელზეც დამყარებულია სპორტის განვითარება. სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორია სპორტული ცხოვრებისადმი საზოგადოების ინტერესი და მონაწილეობის ხარისხი.

სპორტის განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორებია ორგანიზაციული სტრუქტურა, დაფინანსების მექანიზმები, სწორი მართვა და პრიორიტეტების განსაზღვრა. სპორტის განვითარებისთვის ასევე მნიშვნელოვანია ის, რომ პასუხი გაეცეს შეკითხვებს — როგორ არის ორგანიზებული სპორტული მომზადება და როგორ არის მოწყობილი შეჯიბრებები? თუ მომზადებისა და შეჯიბრის მექანიზმები ეფექტურად არ არის შემუშავებული, სპორტი, როგორც მთლიანი სისტემა, არ იმუშავებს.

ცხადია აგრეთვე, რომ სპორტის განვითარებაში დიდ როლს ასრულებს კერძო სექტორი. კერძო სექტორი ყველაზე მოხერხებული პარტნიორია სპორტის სისტემისთვის. სპორტის განვითარების პროცესის მნიშვნელოვანი დაჩქარება შეიძლება გამოიწვიოს მედიის, განსაკუთრებით კი ელექტრონული მედიის ჩართვამ.

დასასრულ, სპორტის განვითარების განუყოფელი ნაწილია მაყურებელი. მაყურებელი გამოხატავს საზოგადოების ინტერესს სპორტისადმი. სადაც მაყურებელი არ არის, იმ ქვეყანაში სპორტის განვითარება შეუძლებელია.

სხვადასხვა ქვეყანაში სპორტის სისტემები განსხვავებული სახით არის წარმოდგენილი. ამ მიმოხილვაში ჩვენ მოკლედ შევეხებით მაღალი სპორტული მიღწევების მქონე ქვეყნების სისტემებს. აქ განხილული ქვეყნებიდან მხოლოდ ერთში — ამერიკის შეერთებულ შტატებში — ქვეყნის პოლიტიკური მექანიზმები არ მონაწილეობენ სპორტში. სხვა ქვეყნების სისტემებში ასეთი მონაწილეობა უზრუნველყოფილია სახელისუფლო სტრუქტურების სამ — ეროვნულ, რეგიონალურ და ადგილობრივ დონეზე.

**ჩინეთში** ეროვნულ დონეზე არსებობს სპორტის საერთო სახელმწიფო ადმინისტრაცია. პროვინციების და ადგილობრივ დონეებზე ფუნქციონირებს მართვის ერთეულები. ამ სტრუქტურების ძალისხმევას აძლიერებს მოსამზადებელი ცენტრები, ხოლო ეროვნულ და რეგიონულ დონეებზე — კვლევითი ინსტიტუტები. მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სპორტული სკოლები, რომლებიც ძირითადად სპორტულ განათლებას აძლევენ მოზარდებს ჩვეულებრივი სკოლებისგან განსხვავებით. დასასრულ, ასევე მნიშვნელოვანი როლი სპორტის განვითარების პროცესში აქვთ სპორტულ ასოციაციებს, კავშირებსა და ფედერაციებს.

ჩინეთში დიდი სპორტისათვის ნიჭიერთა ალმოჩენა და ხელშეწყობა იწყება სპორტული სკოლების დონეზე, რომლებიც ადგილზე ფუნქციონირებენ. ამ სკოლებში მზადების დასრულების შემდეგ სპორტსმენს საშუალება ეძლევა მომზადება განაგრძოს სპორტის ტექნიკურ ინსტიტუტებში. მთელი ეს პროცესი მთლიანად დაფინანსებულია ქვეყნის პოლიტიკური სისტემის მიერ — სკოლებიც და ტექნიკურ ინსტიტუტებიც დაფინანსებას სახელმწიფოსგან იღებენ.

**დიდი ბრიტანეთი**, აქ სპორტული სისტემა წარმოადგენილია ბრიტანეთის ოლიმპიური ასოციაციის, ფიზიკური მომზადების ცენტრალური საბჭოსა და ბრიტანული სპორტის კონფედერაციების წევრი ორგანიზაციების სახით.

გაერთიანებულ სამეფოში ნიჭიერთა ალმოჩენა და ხელშეწყობა ხდება სპორტული პროგრამების საშუალებით, როგორიცაა, მაგალითად, „ნიჭიერ სპორტსმენთა პროგრამა“ და „ნიჭიერ ახალგაზრდა სპორტსმენთა პროგრამა“, ასევე „სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა“ და სხვა. გაერთიანებული სამეფო თანდათან ზრდის სპორტული სკოლების რაოდენობას.

ბრიტანეთს აქვს კიდევ ერთი უნიკალური პროგრამა სპორტის სფეროში — სპორტის საელჩო სქემა, რომელიც გულისხმობს სპეციალური აგენტების მეშვეობით საგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან პირდაპირი დიალოგის საშუალებით სპორტის ფართო პროპაგანდას.

**რუსეთში** ეროვნულ დონეზე კოორდინაციას ახორციელებს რუსეთის ფედერაციის მთავრობა, შესაბამისი სამინისტრო და დეპარტამენტი. უფრო ქვედა დონეზე ფუნქციონირებენ ტერიტორიული სამთავრობო ერთეულები, სპორტის ასოციაციები, კავშირები და ფედერაციები.

ნიჭიერთა ალმოჩენა და ხელშეწყობა რუსეთში ეფუძნება ძლიერი სპეციალური სპორტული სკოლების სისტემას, რომლებიც უზრუნველყოფენ ფიზიკურ მომზადებას. რუსეთს ასევე გააჩნია ე.წ. ოლიმპიური რეზერვების სპორტული სკოლები, ხოლო უფრო მაღალ დონეზე — ოლიმპიური რეზერვების აკადემია. მსოფლიოში არ მოიძებნება სხვა ქვეყანა, რომელსაც ისეთი ძლიერი სპორტული სკოლების სისტემა ჰქონდეს, როგორიც რუსეთშია.

**გერმანია**. 2006 წლამდე სპორტის სისტემის სათავეში იდგა გერმანიის სპორტის კონფედერაცია, ხოლო ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი პირდაპირ არ იყო ჩართული სპორტის სისტემის მართვაში. 2006 წლიდან გერმანიის სპორტის ოლიმპიური ასოციაცია თანამშრომლობს ქვეყნის სამთავრობო სტრუქტურებთან და სამხარეო და მუნიციპალურ ფედერაციებთან. გერმანიის სისტემა ძალიან მჭიდრო სისტემაა, რომელიც იწყება სოფლებისა და ქალაქების დონეზე და ერთიანდება ეროვნული მასშტაბით.

გერმანია იყენებს ნიჭიერთა ალმოჩენისა და ხელშეწყობის განსხვავებულ და საინტერესო მექანიზმს. აქ მოქმედებს კლუბური შეჯიბრის სისტემა. ამასთან, ხორციელდება ახალგაზრდების ოლიმპიური მომზადების პროგრამა. გერმანიის სპორტის სისტემის წარმატებაში მნიშვნელოვანი როლი აქვს სპორტულ სკოლებს, კლუბებსა და ფიზიკური მომზადების ცენტრებს.

**აშშ**. ეს სისტემა სრულიად განსხვავებულად გამოიყურება. ქვეყნის ადმინისტრაციას საერთოდ არ აქვს პასუხისმგებლობა სპორტის მართვისთვის. სპორტის სისტემის მართვა მთლიანად შტატების დონეზე ხორციელდება. ყველა შტატს საკუთარი ადმინისტრაციული სისტემა აქვს. აშშ-ს სპორტის სისტემა მთლიანად კერძო სექტორზეა დამოკიდებული. ამასთან ნიჭიერთა ალმოჩენისა და ხელშეწყობის საქმეში უმთავრეს როლს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ასრულებს. იგი, როგორც დამოუკიდებელი ორგანო, ფლობს სრულ პასუხისმგებლობას.

**იტალია**. აქ არის საკუთარი უნიკალური სისტემა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იტალიამ მიიღო აქტი, რომლის მიხედვითაც CONI, ანუ იტალიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი არის სრულუფლებიანი ორგანო სპორტთან დაკავშირებულ ყველა საკითხთან მიმართებაში. ამ კანონის მიღების შედეგად CONI გახდა დამოუკიდებელი ორგანო, რომლის კომპეტენციებშიც მთავრობა უმნიშვნელოდ ერევა და რომელმაც საკუთარი სოლიდური დაფინანსება მიიღო. CONI უშუალოდ მონაწილეობს ასოციაციების, კავშირების და ფედერაციების პოლიტიკის წარმართვაში, სპორტული ინფრასტრუქტურის მართვაში, ასევე ნიჭიერთა ალმოჩენის და ხელშეწყობის საქმეში. იტალია ნიჭიერთა ალმოჩენისა და ხელშეწყობის მხრივ იყენებს სპორტული სკოლებისა და კლუბების სისტემას და სპეციალურ პროგრამებს, რომლებიც აღნიშნულ სკოლებსა და კლუბებში ხორციელდება.

**დასკვნისთვის**,

ყველაზე მნიშვნელოვანი სპორტის სისტემების განხილვისა და შედარებისას არის ის, რომ ასეთი და კიდევ უფრო სრული, დეტალური ანალიზი საშუალებას გვაძლევს გავეცნოთ იმ ნიუანსებს, რომელთაც მოიცავს სხვადასხვა ეროვნული მექანიზმები. ასეთი შედარებითი ანალიზით მიღებული ინფორმაცია კი, თანამედროვე მოთხოვნებიდან გამომდინარე, სპორტის განვითარებისთვის წაადგება ისეთ სახელმწიფოებს, როგორიც ჩვენი ქვეყანაა.

**თამაზ თევზაძე**
**საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის მრჩეველი, საქართველოს ხელბურთის ეროვნული ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი**

რაგბი



## ლათამს ჰორანი არ აღელვებს

**ავსტრალიელთა** მწვრთნელმა ჯონ კონოლიმ არაფრად ჩააგდო „ვოლაბების“ ლეგენდის ტიმ ჰორანის მწვავე კრიტიკა იმის შესახებ, რომ მან ნაკრებში დააბრუნა კრის ლათამი, რომელმაც ტრავმა ახლახან მოიშუშა და, ჰორანის აზრით, ნაკრებისთვის შეუფერებელ ფორმაში იმყოფება. თავად ლათამი, ვინც ავსტრალიელთა ქვინსლენდელი ვარსკვლავი და ერთ-ერთი უპირველესი მეღელოვეა კრის ლათამი კი თავს მშვენივრად გრძნობს და აცხადებს, რომ 80 წუთის განმავლობაში სრული დატვირთვით თამაშისთვის მზადაა და ერთი სული აქვს, სკეპტიკოსებს როდის დაადუმებს.

## პატარა და სწრაფი

**ჯეელმა** ახალზელანდიელმა ბრენდონ ლეონარდმა სამხრეთ აფრიკასთან სამი ერის პირველობაზე პირი ვეეპუ შეცვალა და რამდენიმე წუთში მატჩის პირველი ლელოც გაიტანა. ლეონარდი გამოდგა ის ნაპერწკალი რომელმაც მაორების თამაში აანთო და ერთიორად ძლიერი გახადა. იღბლიანმა ყმაწვილმა აფრიკელებთან მატჩის პერსპექტივებზე და ავსტრალიასთან მომავალ ჯახზე ისაუბრა: „ორმოცდაათი წუთის განმავლობაში თამაშს სათადარიგოთა სკამიდან ვუყურებდი და ვფიქრობდი, თუ რომელ მონაკვეთზე შეიძლებოდა სამხრეთაფრიკელთა დაცვის გარღვევა. ტანით არცთუ დიდი ვარ და ამიტომ ყოველთვის ვცდილობ, სისწრაფის და მოქნილობის ხარჯზე გავიდე ფონს. იმ შეხვედრაში გრემ ჰენრი მენდო და მეც იმედები გავუმართლე. ვფიქრობ, უფრო მეტის გაკეთება შემიძლია და ჩემს პოზიციაზე მორაგბე თანაგუნდელების ღირსეული შემცვლელი ვარ, რასაც იმედი მაქვს, ავსტრალიასთანაც დავამტკიცებ.“

**ზურაბ მიზრიაული**



ბადრი ქიმერიძის ფოტო

# ლეილა მესხი: ყველა კითხვას პასუხი გაეცემა

„თბილისში ორ დღეში დავბრუნდები და შექმნილ ვითარებაზე კომენტარს მაშინვე გავაკეთებ" — გვითხრა გუშინ ლეილა მესხმა, ერევანში რომ შევეხმიანეთ. საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი სომხეთში კაცთა საერთაშორისო ტურნირის დირექტორადაა მიწვეული. ტურნირის ფინალი შაბათს გაიმართება და მესხი ამის შემდეგლა დაბრუნდება თბილისში.

ქართულ საჩოგბურთო სამყაროში მომხდარი განხეთქილების შესახებ კი ამ დღეებში რამდენჯერმე დავწერეთ და ერთხელაც ვიტყვით, რომ მესხის მუშაობით უკმაყოფილო ფედერაციის წევრებმა, რომელთა შორისაც ქართული ჩოგბურთის არაერთი ცნობილი სახეა, ფედერაციის წესდებიდან გამომდინარე, რიგგარეშე ყრილობის ჩატარება და ამ ყრილობაზე პრეზიდენტის გადარჩევა გადაწყვიტეს. საგანგებო განცხადებას ხელი ოცდარვა წევრმა მოაწერა, ყრილობის ჩატარების თარიღად კი 31 ივლისი დაითქვა.

პრეზიდენტის მხარის პოზიციის დასაფიქსირებლად ჩოგბურთის ფედერაციაში რომ დავრეკეთ, გვითხრეს, ამ ეტაპზე კომენტარს არ ვაკეთებთ, ლეილა მესხი ჩამოვა და სათქმელს თავად იტყვისო. მისი ნომერიც მოგვცეს, რომლითაც სომხეთში შევძელით დაკავშირება.

„ბრალდებებზე პასუხის გაცემა ტელეფონით არ მინდა. კვირას უკვე თბილისში ვიქნები და ყველაფერს ვიტყვი. უპასუხოდ არც. ერთ კითხვას არ დავტოვებ" — დასძინა ლეილა მესხმა.

**ოთარ მხეიძე**

# დამარცხდა, მაგრამ წინ წავა

**ამერიკულ** ცინცინატში, სადაც WTA-ტურის ეგიდით 175-ათასიანი ტურნირი გრძელდება, ქართველი ანა ტატიშვილის წარმატებული სვლა კორტის მასპინძელ ლილი ოსტერლოსთან შეხვედრაში შეწყდა.

ანამ ცინცინატური შეჯიბრი კვალიფიკაციიდან დაიწყო, ეს ბარიერი წარმატებით გაიარა, ძირითად ბადეში შევიდა და იქ პირველ წრეში რეიტინგის 57-ე ნომერს, იაპონელ აიკო ნაკამურას მოუგო.

ჩვენებურს ოსტერლოსთან მატჩის პირველ სეტშიც ჰქონდა შანსები, იგებდა კიდეც, მაგრამ პარტია 5:7 დათმო და მეორე სეტში მეტოქეს წინააღმდეგობა ვეღარ გაუწია. ანა 5:7 1:6 დამარცხდა, მაგრამ მიუხედავად ამ წაგებისა, ცინცინატში ნაჩვენები შედეგის წყალობით, ის საკმაოდ სარეიტინგო ქულებს მიიღებს და კვალიფიკაციაში მნიშვნელოვნად გაიუმჯობესებს მდგომარეობას.

ამერიკაშივე, ოლონდაც ქალაქ ვიჰიტას ჰარდზე ITF-ის ეგიდით მიმდინარე 10-ათასიანი შეჯიბრის პირველივე წრეში დამარცხდა სოფო მელიქიშვილი. ჩვენებურის მეტოქე 20 წლისა და რეიტინგში 605-ე ადგილზე მყოფი მასპინძელი ჯენიფერ ილიე იყო და მე-6 ნომრად განთესილმა ამერიკელმა იოლად — 6:2 6:3 იმარჯვა.

ერევანში კი გრძელდება კაცთა 10-ათასიანი ტურნირი. სომხურ მაგარსაფარზე თავიდან ოთხი ჩვენებური იყო, მაგრამ ძირითადი ტურნირის პირველი წრე მხოლოდ ერთმა, მე-2 ნომრად განთესილმა ლადო ჩიხლაძემ გაიარა, რომელმაც 6:3 6:4 აჯობა კორტის მასპინძელ გევორქ კირაკოსიანს.

მეორე წრეში ჩიხლაძემ მეორე სომეხს, არუტინ სოფიანსაც იოლად მოუგო — 6:1 6:4, მაგრამ მეოთხედფინალში ვეღარას გახდა კვალიფიკაციიდან წამოსულ ირლანდიელ ჯეიმს კლუსკისთან. ირლანდიელმა, რომელმაც პირველ წრეში გიორგი ხრიკაძე დაჯაბნა, 7:5 7:5 იმარჯვა და ხრიკაძის გზას მეორე ქართველიც გაუყენა.

# ფერნანდო დავიდთან გოლიათია

**კაცები**
**შტუტგარტი. გერმანია**
**თიხნარი. საპრიზო 642 750 €**

**მეორე წრე**

ხუან მონაკო (8, არგენტინა) — შტეფან კუბეკი (ავსტრია) 6:2 3:6 6:3; ხუან იგნასიო ჩელა (7, არგენტინა) — ბორის პაშანსკი (სერბეთი) 7:5 4:6 6:4; ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) — დავიდ ფერერი (4, ესპანეთი) 7:5 6:3; სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია) — მარინ ჩილიჩი (ხორვატია) 6:4 6:1; ირჟი ვანეკი (ჩეხეთი) — გაელ მონფილზი (საფრანგეთი) 1:6 7:6 6:2

**კაცები**
**ამერსფორტი. ჰოლანდია**
**თიხნარი. საპრიზო 353 450**

**მეორე წრე**

ფლორენ სერა (საფრანგეთი) — ტიემო დე ბაკერი (ჰოლანდია) 4:6 6:3 7:6; სტივ დარსისი (ბელგია) — ჟილ სიმონი (საფრანგეთი) 7:6 6:1; იგორ ანდრეევი (რუსეთი) — ფილიპო ვოლანდრი (4, იტალია) 3:6 6:1 6:4; ევგენი კოროლიოვი (რუსეთი) — სერხიო როიტმანი (არგენტინა) 7:5 7:6; მიხაილ იუჟნი (2, რუსეთი) — ვიქტორ ჰანესკუ (რუმინეთი) 6:4 6:2

**კაცები**
**ლოს ანჯელესი. აშშ**
**ჰარდი. საპრიზო 525 000 $**

**მეორე წრე**

ნიკლას კიფერი (გერმანია) — იგორ კუნიცინი (რუსეთი) 6:3 6:2; მიხაელ ბერერი (გერმანია) — რიკარდო მელო (ბრაზილია) 6:3 7:5; ჰიუნგ-ტაიკ ლი (7, სამხ. კორეა) — ვესლი მუდი (სამხრეთ აფრიკა) 6:2 3:0 (უარი); მარატ საფინი (რუსეთი) — გეორგ ბასტლი (შვეიცარია) 6:2 2:6 6:4

**ქალები**
**ცინცინატი. აშშ. ჰარდი**
**საპრიზო 175 000 $**

**მეორე წრე**

ანა ჩაკვეტაძე (1, რუსეთი) — ანდა პერიანუ (რუმინეთი) 6:4 6:3; სანია მირზა (3, ინდოეთი) — ვარვარა ლეპშენკო (უზბეკეთი) 6:2 6:2; აკიკო მორიგამი (7, იაპონია) — ანჟელიკ კერბერი (გერმანია) 6:2 6:2

**ქალები**
**პალერმო. იტალია. თიხნარი**
**საპრიზო 145 000 დოლარი**

**პირველი წრე**

სარა ერანი (იტალია) — ევა ბირნეროვა (ჩეხეთი) 6:2 6:0; ფლავია პენეტა (იტალია) — ედინა გალოვიცი (რუმინეთი) 6:3 6:1; მარტინა მიულერი (2, გერმანია) — კონჩიტა მარტინეს გრანადოსი (ესპანეთი) 6:2 6:1



ანა ჩაკვეტაძე

AFP ცინცინატიდან

**თიხნარზე** დიდებულად მოთამაშე დავიდ ფერერს თანამემამულე ფერნანდო ვერდასკო ლამის გადაულახავ ზღუდედ ექცა. ისინი ერთმანეთს წლეულს ორჯერ შეხვდნენ და ორჯერვე გამარჯვება ვერდასკოს დარჩა — ჯერ იყო და ეს „როლან გაროსის" მესამე წრეში მოხდა, როდესაც პარიზში დიდი მიზნებით ჩასული ფერერი ნაადრევად შეაჩერეს, ახლა კი ვერდასკომ რეიტინგში გაცილებით მაღლა მდგომი თანამემამულე შტუტგარტის მეოთხედფინალში არ გაატარა და თან ექვსმატჩიანი მოგებათა სერია შეაწყვეტინა. ასე რომ, ხუთიოდ დღის წინ შვედური ბასტადის გამარჯვებულ ფერერს სახლში ნაადრევად გაბრუნება მოუწევს.

არ დასცალდა ტურნირის მეორე ნომერ ტომი რობრედოს დამარცხებით გამოწვეული სიხარულით ტკბობა გაელ მონფილზს — ახლაგაზრდა ფრანგმა მეორე წრეშივე წააგო კვალიფიკაციიდან წამოსულ ირჟი ვანეკთან, რომელიც წლეულს თავის პირველ მეოთხედფინალს ითამაშებს. აქ ჩეხი სტანისლას ვავრინკას შეხვდება.

საუკეთესო რვაში მოხვდა ხუან-იგნასიო ჩელაც, რომელსაც ძალიან კი გაუჭირდა ბორის პაშანსკის დამარცხება, მაგრამ მატჩის დაწყებიდან ორი საათის თავზე სერბი მაინც გატეხა.

ლოსანჯელესური ამბებიდან კი მარატ საფინის წარმატება აღვნიშნოთ. გოლიათი რუსი ისევ არასტაბილურად თამაშობს და კლასით გაცილებით დაბალ მოთამაშეებთან ბლომად დროს და ენერგიას ხარჯავს. მაგრამ ბოლო თვეებისგან განსხვავებით, მოგებას ამ ჯერზე მან მაინც მოახერხა. კალიფორნიის მთავარ ქალაქში მარატმა მართალია წვალებით, მაგრამ მაინც უწია მეოთხედფინალს. გეორგ ბასტლთან უაზროდ წაგებული მეორე სეტის შემდეგ გადამწყვეტ პარტიაში რუსმა ბრეიკი გააკეთა და წესით, ეს უპირატესობა ადვილად უნდა შეენარჩუნებინა, მაგრამ აქაც გამონახა პრობლემები და დამატებით ნახევარი საათი იწვალა.

კარგად თამაშობს ნიკლას კიფერიც. ლამის ნახევარწლიანი იძულებითი შესვენების შემდეგ მობრუნებული გერმანელი სტაბილურად ირჯება — არც უიმბლდონზე გამოსულა ურიგოდ და თავს არც კალიფორნიის თაკარა მზის ქვეშ ირცხვენს. კიფერი დავიდ ნალბანდიანის გამამწვარებელ იგორ კუნიცინს გაუსწორდა.

ჰოლანდიურ ამერსფორტში კი გუშინ რუსების დღე იყო. ნიკოლაი დავიდენკოს გავარდნის მიუხედავად, ნიდერლანდებში სლავები მაინც ბლომად შემორჩნენ. უფრო კონკრეტულად, სამნი და ყველა მეოთხედფინალშია. ამათგან განსაკუთრებული გმირობა იგორ ანდრეევმა გამოიჩინა, რომელმაც მეოთხე ნომერ ფილიპო ვოლანდრის გამოუყვანა წირვა. აი, მიხაილ იუჟნი და ევგენი კოროლიოვი კი ორ სეტში ჩაეტივნენ — ოღონდ მათ ახლა ერთმანეთთან მოუწევთ დატაკება.

ქალთა ტურნირებიდან კი ყველაზე საინტერესო ცინცინატიში ხდება — იქ მეტ-ნაკლებად სერიოზული შემადგენლობაა შეკრებილი.

პირველ რიგში ანა ჩაკვეტაძის მოგება აღვნიშნოთ — ქართული ფესვების მქონე მეჩოგნე მეოთხედფინალშია, სადაც ადგილი ანდა პერიანუს დამარცხებით გაინაღდა. ანა ჯერჯერობით კარგად გამოიყურება და თავის სტატუსს ამართლებს — ის ხომ პირველ ნომრად არის განთესილი და გამარჯვების მთავარი პრეტენდენტია.

ადვილად მოიგო სანია მირზამაც, რომელმაც ვარვარა ლეპშენკოს მხოლოდ ოთხი გეიმი დაუთმო.

## მიურეიმ ვაშინგტონი თქვა

**მტევნის** ტრავმის გამო ორი თვის განმავლობაში უთამაშებელი ენდი მიურეი კორტს ივლისის ბოლოს ვაშინგტონის კორტებზე დაუბრუნდება. მან თავის ოფიციალურ საიტზე განაცხადა, რომ თავს კარგად გრძნობს და ვარჯიშების განახლებას იწყებს.

შეგახსენებთ, რომ მურეიმ ტრავმის გამო ორი სლემტურნირი — „როლან გაროსი" და უიმბლდონი გააცდინა.

## ლუჟნიკებში მაშას გარეშე

**ფედერაციის** თასის ფინალში გასულ რუსებს, რომლებიც იტალიას უმასპინძლებენ, მოულოდნელი პრობლემები წარმოექმნათ. საქმე იმაშია, რომ ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები საჩოგბურთო ბატალიებს „ოლიმპიისკის" კომპლექსში აწყობენ ხოლმე, მაგრამ ეს დარბაზები დაკავებული იქნება, რადგანაც სწორედ ამ დროს მოსკოვში ევროპის ჩემპიონატი იქნება ფრენბურთში. სწორედ ამიტომ რუსთა კაპიტანი შამილ ტარპიშევი იძულებული გახდა, აქცენტი "ლუჟნიკებზე" გადაეტანა.

გარდა ამისა, გაირკვა, რომ ტარპიშევი არ აპირებს ფინალისთვის მარია შარაპოვას მოწვევას — როგორც ჩანს, უკვე რუსთა კაპიტანსაც მობეზრდა მაშას კაპრიზები. სამაგიეროდ, ტარპიშევი იმედოვნებს, რომ საფინალოდ გამოჯანმრთელდება სვეტლანა კუზნეცოვა, რომელიც გამოცდილი სპეციალისტის აზრით, ნაკრებს ძალიან გააძლიერებს.

**კახა ლომჯარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ძველი მესერეტ და ახალი ვილი



ვილი კომენი

**18 ივლისს** ალჟირში აფრიკის თამაშები დაიწყო. ამ კონტინენტის ოლიმპიადაზე მოზრდილი ადგილი უკავია მძლეოსნობას აღმოსავლეთაფრიკული სამძლეოსნო ქვეყანა-გიგანტების — კენიისა და ეთიოპიის კოჰორტებით.

პირველივე დღეს მედლების რამდენიმე კომპლექტი გათამაშდა. ათენის ოლიმპიადის ჩემპიონმა, ეთიოპიელმა მესერეტ დეფარმა მარადიული კონკურენტ-თანამემამულე ტირუნეშ დიბაბას არყოფნით ისარგებლა და თავისი წილი 5 კილომეტრი მოიგო. მასზე ნაკლებად გაუმართლა კიდევ ერთ ოლიმპიურ ჩემპიონს, კენიელ სტიპლჩეიზერ ეზეკელ კემბოის. მას აჯობა სულ რაღაც 20 წლის თანამემამულე ვილი კომენმა, რომელსაც შავ-შავ კოჭებში და ანთებულ თვალებში ეტყობა, რომ კემბოისაც და სხვებსაც კიდევ არაერთხელ მოიტოვებს ზურგს უკან.

აი, ასეთი საბრძოლო შემადგენლობით და ჟინით ჩავიდნენ აღმოსავლეთ აფრიკის სავანებში ლომების და აფთრების გვერდით სირბილში ფეხადგმული კენია-ეთიოპიელები უდაბნოვან ალჟირში.

ჯერ კომენზე ვთქვათ ორი წინადადება: კემბოისთან შეჯიბრისას და ახალგაზრდა კენიელმა სახელიანი თანამემამულის მხარდამხარ ირბინა და ფეხს მხოლოდ ფინიშამდე 150 მეტრით ადრე აუჩქარა, როდესაც უკანასკნელი წინაღობა — წყლით სავსე ორმო გადალახა. წინაღობებით დამძიმებული 3 კილომეტრი მან 8 წუთსა და 15,11 წამში გაირბინა და 1,82 წამით ანუ საკმაოდ დამაჯერებლად აჯობა ათენის ოლიმპიადის ტრიუმფატორს. სათქმელია, რომ ეს სტიპლჩეიზი, სხვათაგან სრულიად განსხვავებული სამძლეოსნო სახეობა, პირწმინდად დაპყრობილი აქვთ კენიელებს და მეზობელ ეთიოპიელებს ჟუნწად აძლევენ, მწვერვალს ვინ ჩივის, კვარცხლბეკის ქვედა საფეხურებზე ფეხის შედგმის ნებას. ალჟირში აფრიკის რიგით მე-9 თამაშები ტარდება და ყველაში კენიელებმა მოიგეს სტიპლჩეიზი, ამასთან ყოველ თამაშებზე ახალი სახე იგებდა. ეს კომენიც ახალია, ახლა მისგან ძლეული ეზეკელ კემბოი სამი წლის წინ ოლიმპიადას რომ იგებდა, 17 წლის ვილი ნაირობის ერთ-ერთ სკოლაში სწავლობდა.

ახლაც ვსწავლობო, ამბობს კომენი, მინდა კიდევ ბევრი ვისწავლო კემბოისგან და მასავით ცნობილი გავხდეო.

კაცთა სტიპლჩეიზს დიდი ინტრიგა შესძინა ძველი და ახალი ვარსკვლავის შეჯიბრმა, მაგრამ ისევ და ისევ ისტორიის და ტრადიციების შემხედვარე ეჭვიც არავის ეპარებოდა, ამ სახეობაში კენიის ჰიმნი რომ გაიჟღერებდა ალჟირში. ეგაა, კენიელებს დიდად სურდათ, კონტინენტური ბრინჯაოც მათ დარჩენოდათ, მაგრამ მესამე ადგილი ელიჯა ჩელიმის ეთიოპიელმა ნაჰამ მასფონმა „წაგლიჯა“.

დაახლოებით ასეთივე რამ მოხდა ქალთა 5-კილომეტრიან გარბენში, სადაც მესერეტ დეფარი დედოფლობს. ოლიმპიური ჩემპიონი წინ გარბოდა და მალიმალ იხედებოდა უკან. მას არ ჰქონდა საკუთარი თავის შიში, დეფარი უფრო მესამე ქალად მორბენალ ვორკიტუ აიანოს ქომაგობდა. საბოლოოდ დედოფალმა 25.02,72 შედეგით იპირველა. მას ზურგში მიჰყვა და 1,14 წამით ჩამორჩა კიდევ ერთი ეთიოპიელი მესელეკ მელკამუ.

მაგრამ აი, მესამე ეთიოპიელ აიანოს ძალა აღარ ეყო ეთიოპიური კვარცხლბეკის შესავსებად. ბოლოსკენ ჩამორჩა და მეექვსე ადგილზე გავიდა. ბრინჯაო კი კენიელ სილვია კიბეტს შეხვდა. დეფარისთვის ეს ზედიზედ მეორე აფრიკული ოქრო.

**ქოტე ყორშია**



# ტკბილ ძილსა და კარგ სტარტს გისურვებთ, კრისტი

**გახსოვთ** კრისტინ არონი? ტრავმების მკურნალობაში და დეპრესიასთან ბრძოლაში ჩავარდნილი დრო ამ მულატი ფრანგის მომხიბვლელობასა და სისწრაფეს ვერას აკლებს. არ ჩანდა, მაგრამ ახლა ჩანს და 33 წლის ასაკში 100-მეტრიან გარბენებს იგებს, რაც სპორტსმენის ქალობაზე იშვიათი ლამაზმანის სულის სიძლიერეზე მეტყველებს.

ორიოდ დღის წინ რეიმსში რიგიანი ტურნირი ჩატარდა, რომლის მსგავსსაც სხვა ფრანგული ქალაქებიც უმასპინძლებენ ამ დღეებში, რათა ფრანგული მძლეოსნობის ზე და ქვე ელიტარული დანაყოფები 3-5 აგვისტოსთვის დაგეგმილ საფრანგეთის შიდა ჩემპიონატისთვის მოთელონ.

არონი კი უკვე მოთელილია. ცხადია, ის ვეღარ შეუტევს ევროპის რეკორდს, რომელიც სხვათა შორის, დღემდე მისი გახლავთ (10,73 წამი), მაგრამ ახლა მისთვის 11,23 წამიც გვარიანზე გვარიანი შედეგია. არონს 2005 წლის შემდეგ არ ურბენია ასე სწრაფად და გულსაც იმაგრებს, რომ მსოფლიოს უსწრაფეს ქალებთანაც შეუძლია ტოლსწორად გაჯიბრება.

„ჩემი შედეგები ამ სეზონში სულ უფრო და უფრო უკეთესი ხდება, რაც დამატებით მოტივაციას მაძლევს, რომ თავდაუზოგავად ვიმუშავო, მაგრამ თან ვცდილობ, ზედმეტი მონდომების ნაკადი ვაკონტროლო. აღარ დავუშვებ, რომ ის დამემართოს, რაც სტრასბურში შემემთხვა“ — დიდად კონცენტრირებული ჩანს კრისტი. სტრასბურში კი მას ჩვეულებრივი სამძლეოსნო მარცხი მოუვიდა, სტარტის მიცემამდე წამოხტა, თანამედროვე მძლეოსნობაში კი პირველივე ფალსტარტის ავტორი დისკვალიფიკაციით ისჯება.

არონზე გულახდილად საუბრობს მისი ახალი პირადი მწვრთნელი სტეფან კარისტანი — „კრისტის ბოლო თვეებში ძილის პრობლემა ჰქონდა და ვარჯიშში ძალიან უშლიდა ხელს, ნაადრევად იღლებოდა. ეს პრობლემა ჯერაც არსებობს, მაგრამ ახლა ყველაფერი კალაპოტში ბრუნდება და 11,23 შედეგიც ამის მაჩვენებელია. მის ხისუსტედ რჩება სტარტი, მაგრამ კრისტი კარგ აჩქარებას აკეთებს 20-60 მეტრებს შორის, შემდეგ კი ბოლო 40 მეტრზე სირბილში ის მთელ თავის ცხოვრებისეულ გამოცდილებას დებს.

მოკლედ, არონი თითქმის ძველი ბრწყინვალებით და მთელი გაქანებით დაუბრუნდა სარბენ ბილიკს. დატვირთულია მისი კალენდარიც — 25 ივლისს მონაკოს გრან პრიზე ირბენს, შემდეგ საფრანგეთის ჩემპიონატზე ეცდება ახალგაზრდა ფრანგი გოგონების ჯობნას, როგორც 100, ასევე 200 მეტრზე. 25 აგვისტოდან კი ოსაკას მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება. ტკბილი ძილი ვუსურვოთ მძლეოსნობის ბანოვანს.

**ქოტე ყორშია**

სუმო

# შავი ზღვა მინუსებში ჩაიძირა

**ივლისის** ბაშოზე ქართველი სუმოტორის მოგება-წაგებების მონაცვლეობის ტრადიცია გუშინწინ, მეთერთმეტე ტურში დაირღვა. ხუთქულიან კოკაის სუმოს მიმომხილველმა რამდენიმე წყარომ იშვიათ ტალანტად წოდებულ 21 წლის ექსკომუსუბი კისენოსატოსთან გამარჯვება კი მიაკუთვნა, მაგრამ სინამდვილეში მოგება ჩვენებურის მეტოქეს უზეიმია და „შავი ზღვაც“ გაუმინუსებია. გუშინ კი ქართველს უარყოფითი ბალანსი ორქულიანი გაუხდა.

მეთორმეტე ტურში ლევან ცაგურიამ ექსსეკივაკე ტამანოსიმასთან წააგო. მეტოქეს მძლავრად შეუტია და ხელის კრით დოჰიოს ხაზამდეც გაიყვანა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში კონტრილეთი გაეპარა და დამარცხდა. საბოლოო უარყოფითი ბალანსის, მაკეკოსის თავიდან ასაცილებლად ჩვენებურს დარჩენილ სამ ტურში სამი ქულა სჭირდება. დღეს „შავი ზღვა“ ექსკომუსუბი ტოინოსიმას პირისპირ დადგება.

იმპერატორის თასთან ყველაზე ახლოს მდგომმა ლიდერთა ტრიომ კი მეთორმეტე ტურშიც გაილაღა. იოკოძუნებმა ასასიორიუმ და ხაკუხომ და სეკივაკე კოტომიცუკიმ მეთორმეტე ქულები მიითვალეს და რაზან უხლოესმა მდევარმა, რიგითმა მაეგაშირა ხომასიომ, მესამედ წაიფორხილა, უკან ორი ნაჯიბით მოიტოვეს.

ასასიორიუმ ორმეტრიან ოძეკი კოტოოსიუს ისე აჯობა, „ბალკანელ გულივერს“ კონტრშეტევის პატარა შანსიც არ მისცემია. ხაკუხოს 34 წლის ოძეკი კაიოსთან ორჯერ მოუწია დაჭიდება. პირველად იოკოძუნამ გამოცდილი მეტოქე ხაზს გარეთ გააგდო, მაგრამ იქვე თავადაც ვერ შეინარჩუნა წონასწორობა და დოჰიოზე დავარდა. მსაჯმა გამარჯვებულად ხაკუხო გამოაცხადა, მაგრამ წრის მსაჯების კრებამ გადაწყვეტილება შეაცვლევინა, აქაოდა, ორივე რიკისი ერთდროულად დაეცაო. დაინიშნა დამატებითი ბრძოლა და იქ 22 წლის მონღოლმა ერთი ამოსუნთქვით იმარჯვა.

კოტომიცუკიმ უმაღლეს დივიზიონ მაკუტის ერთ-ერთ უმძიმეს სუმოტორს, ტიოტაიკაის აჯობა. ოძეკობაზე მეოცნებე სეკივაკეს ერთი იერარქიული საფეხურით მაღლა ასანაცვლებლად სავარაუდოდ დარჩენილ სამ დღეში ერთი მოგებაც უნდა ეყოს, თუმცა საეჭვოა, ახლა კოტომიცუკი სახექტემბრო რეიტინგზე ფიქრობდეს.

დღეს ასასიორიუ ტიოტაიკაის ხვდება, ხაკუხო — კოტოოსიუს, კოტომიცუკი — ხომასიოს.

**ოთარ მალლაძელიძე**

ჭიდაობა

# ახალი მუხლი



**თბილისური** ტურნირის მოლევიდან ორ დღეში საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა ნაკრები ორკვირიან ბაკურიანულ შეკრებაზე გაემგზავრა. მთავარმა მწვრთნელმა ბეგი დარჩიამ თან ბაქოს მსოფლიოს ჩემპიონატზე წასაყვანი შვიდეულის ყველა კანდიდატი იახლა, რამაზ ნოზაძის გარდა.

ევროპის ჩემპიონმა გივი კარტოზიას სახელობის ტურნირი ძველი, მხრის ტრავმის გამო გამოტოვა, თუმცა უკვე თითქმის ბოლომდე გამოჯანმრთელებული იყო და წინ რომ მსოფლიოს ჩემპიონატი არ ჰქონოდა, რისკსაც გასწევდა და ხალიჩაზე გავიდოდა. ბაკურიანში წაუსვლელობის მიზეზი კი სულ სხვა ტრავმა გახდა.

„რამაზმა სიმძიმის აწევისას მუხლი დაიზიანა, მაგრამ საგანგაშო არაფერია — გვითხრა გუშინ საქართველოს ოლიმპიური გუნდის მთავარმა ექიმმა ზურაბ კახაბრიშვილმა — მკურნალობას მაქსიმუმ ერთი კვირა დასჭირდება. ნოზაძეს ამ პერიოდშიც შეეძლება ვარჯიში, ოღონდ მუხლს არ დატვირთავს. ნაკრებს კი შეკრების დასრულებამდე აუცილებლად შეუერთდება“.

**ოთარ მალლაძელიძე**

## 94-ე ტურ დე ფრანსი 7-29 ივლისი

# ფრანგული იმედი დაბლობში დაიმარხა




AFP მონპელიედან

**22 წელია,** ფრანგებს მშობლიური სუპერრბოლა არ მოუგიათ. ბოლო ფრანგული ტრიუმფის თარიღი 1985 წელია, როდესაც დიადმა ბერნარ ინომ თავისი მეხუთე „ტური" მოიგო და დიდი წერტილი დასვა.

მას შემდეგ, 80-იან, თუ 90-იან წლებში სხვადასხვა თაობის გამორჩეული ფრანგები კი ცდილობდნენ „დიდი მარყუჟის" შეკვრას, მაგრამ აქედან არაფერი გამოდიოდა. ლორან ჟალაბერი და რიშარ ვირანკი „ტურის" ჩემპიონის ტიტულის გარეშე წავიდნენ დიდი სპორტიდან და ალბათ, იგივე ბედი ელის კრისტოფ მოროსაც, ვინც 21-ე საუკუნის საუკეთესო ფრანგი ველომრბოლი გახლავთ.

2000 წლის „ტურზე" მორო მეოთხე იყო და მერე ამ სიმაღლემდეც ველარ ავიდა. ველარც წლეულს ავა. არადა, წლევანდელ „ტურს" ის დიდი იმედებით ხვდებოდა — ივნისში ბრწყინვალე სტილში მოიგო „კრიტერიუმ დოფინი ლიბერე", მაგრამ ერთკვირიანი რბოლა სხვაა და სამკვირიანი მარათონი — სულ სხვა. თანაც AG2R არ არის იმ ძალის გუნდი, მისი ლიდერი საჩემპიონოდ რომ გაიქაჩოს. მოროს ძლიერი საჭურველტვირთავები აშკარად აკლია და ეს გუშინაც კარგად გამოჩნდა, როდესაც პელოტონი ორად გაიხლიჩა. ფრანგების იმედი უკანა ნაწილში დარჩა და მისმა თანაგუნდელებმა ვერაფერი იღონეს საიმისოდ, თავიანთი ლიდერი მოწინავე ჯგუფში რომ დაებრუნებინათ.

გუშინ მორომ 3 წუთზე მეტი წააგო გენერალური კლასიფიკაციის თავში მყოფებთან და მე-6 ადგილიდან ერთბაშად მეთორმეტეზე გადავარდა ლიდერ მიქაელ რასმუსენთან ექვსწუთნახევრიანი ჩამორჩენით.

შეიძლება ითქვას, რომ ფრანგის მატარებელმა ამჯერადაც ჩაიარა. არადა, მორო უკვე 36 წლისაა და წლევანდელი რბოლა, ალბათ, მისი ბოლო შანსი იყო.

კვლავაც გმირულად იბრძვის და რაღაცის შეცვლას ცდილობს ალექსანდრ ვინოკუროვი. მუხლებშეხვეულმა „ვინომ" ერთი შეტევა გუშინაც შეუტია, მაგრამ არაფერი გამოუვიდა და ალბათ, აღარც გამოუვა, რადგანაც ძალზე ბევრს აგებს და პირინეებში ის, სავარაუდოდ, იძულებული გახდება თავის გერმანელ თანაგუნდელ ანდრეას კლოდენს გაუწიოს დახმარება.

კლოდენის იმედი ხვალინდელი ინდივიდუალური რბოლაა და იქ შეეცდება მასზე წინ მყოფ ხუთეულთან ჩამორჩენის შემცირებასა და ზოგიერთი მათგანის გადასწრებასაც კი. თუმცა მანამდე დღევანდელი ეტაპია, რომელიც იოლი ნამდვილად არ იქნება, რადგანაც 178,5-კილომეტრიან გზაზე სამი მეოთხე და ერთიც მეორე კატეგორიის მთაა დასალაშქრი.

აი, გუშინ კი აბსოლუტურად ვაკე გზა იყო და პელოტონი მაინც გაიხლიჩა. ამ ორ ნაწილად გაყოფილი ველოქარავნის თავში რამდენიმე ადრიანად გაქცეული მრბოლი ერთი პირობა შვიდწუთნახევარსაც უგებდა მდევრებს, მაგრამ ვერც გაქცეულებმა იმუშავეს სინქრონულად, თანაც პელოტონიც აჩქარდა და ფინიშამდე 37 კილომეტრით ადრე წინ მყოფნი ჩაყლაპა. ამ დროს მოროს ჯგუფი უკვე უკან იყო და უკანვე დარჩა. თავში კი საფინიშო სპურტისთვის წავიდა მზადება და ბოლოსწინა კილომეტრზე, უკვე მონპელიეს ქუჩებში, ერთ მკვეთრ მოსახვევში ზედახორაც წარმოიქმნა, რის შედეგადაც რამდენიმე მრბოლი სერიოზულად დაშავდა.

თითქოს „ქვიკ სტეპი" აქტიურობდა და ზედიზედ მეორე, წლევანდელ „ტურზე" კი მეოთხე ეტაპის მოსაგებად ემზადებოდა, მაგრამ იმ მოსახვევმა მათი გეგმებიც არია — ბელგიური გუნდის სუპერსპრინტერი ტომ ბოონენი ჩრდილში მოექცა და გამარჯვება კი ბრიტანული „ბარლვორლდის" სამხრეთაფრიკელ რობერტ ჰანტერს დარჩა.

**მე-12 ეტაპი. მარსელი — მონპელიე. 182 კმ**

| | |
|---|---|
| 1. რობერტ ჰანტერი (სამხრეთ აფრიკა, „ბარლვორლდი") | 3 სთ 47 წთ 50 წმ |
| 2. ფაბიენ კანცელარა (შვეიცარია, CSC) | |
| 3. მურილიო ანტონიობილ ფიშერი (ბრაზილია, „ლიქუიგასი") | |
| 4. ფილიპო პოზატო (იტალია, „ლიქუიგასი") | |
| 5. ალესანდრო ბალანი (იტალია, „ლამპრე") | ყველას იგივე დრო |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. მიქაელ რასმუსენი (დანია, „რაბობანკი") | 53სთ 11წთ 45წმ |
| 2. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, „კაისე დეპარნი") | +2წთ 35წმ |
| 3. იბან მაიო (ესპანეთი, „სონი დიუვალი") | +2წთ 39წმ |
| 4. კედელ ევანსი (ავსტრალია, „ლოტო") | +2წთ 41წმ |
| 5. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, „დისქავერი") | +3წთ 08წმ |
| 6. ანდრეას კლოდენი (გერმანია, „ასტანა") | +3წთ 50წმ |
| 7. ლევი ლეიფჰემერი (აშშ, „დისქავერი") | +3წთ 53წმ |
| 8. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) | +3წთ 54წმ |
| 9. კიმ კირხენი (ლუქსემბურგი, „T-მობაილი") | +4წთ 59წმ |
| 10. მიგელ ასტარლოზა (ესპანეთი, „ეუსკალტელი") | +5წთ 20წმ |



# ამბავი პონგსაკლეკ ვონდჟონგკაემის დამარცხებისა

**თუ გსმენიათ** ასეთი მოკრივის, პონგსაკლეკ ვონდჟონგკაემის შესახებ? თუ არ გსმენიათ გეტყვით, რომ ეს ტაილანდელი 1996 წლიდან, ანუ 11 წლის მანძილზე დაუმარცხებელი იყო და 2001 წლიდან WBC-ის ვერსიით მსოფილიოს ჩემპიონი გახლდათ უმჩატეს (50,8კგ) წონაში.

ამ 11 წლის მანძილზე ვონდჟონგკამმა ზედიზედ 56 ორთაბრძოლა მოიგო და ამათგან ორში იაპონელი დაისუკე ნაიტო დაამარცხა. ერთხელ, სულაც ნოკაუტით მოუგო და თანაც ელვისებურად — 34 წამში.

ეს ნაიტო ვინღააო იკითხავთ და გეტყვით, რომ ღრმად პატივცემული ტაილანდელის ტრიუმფალურ სვლას, სწორედ ნაიტომ დაუსვა წერტილი. ჩხუბი იაპონელის სამშობლოში, ტოკიოში ჩატარდა და ქულების დამთვლელმა სამივე მსაჯმა იაპონელს გაამარჯვებინა — 116:113, 116:113 და 115:113.

ტაელმა მოკრივემ, ვისაც ჩვიდემეტჯერ დაუცავს საჩემპიონო ქამარი, აღიარა მარცხი და იქვე დაამატა, კარიერის დასრულებას არ ვაპირებ და ტიტულის დასაბრუნებლად კიდევ ვიბრძოლებო.

ნაიტო კი უკვე იაპონიის ეროვნული გმირია. ვონდჟონგკამთან გამარჯვებისთანავე გაისმა ხმები ნაიტოსა და მეორე იაპონელის, WBA-ს ვერსიით ჩემპიონ კოკი კამედას შესაძლო ორთაბრძოლის შესახებ. თუ ეს ჩხუბი მართლა შედგა, ეს იქნება ეპოქალური მოვლენა იაპონური კრივის ისტორიაში.



## UEFA CUP უეფას თასი 2007-2008

### პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. I მატჩები

ბანანცი (სომხეთი) 1:1 იანგ ბოისი (შვეიცარია)
არაზი (აზერბაიჯანი) 0:0 გროცლინი (პოლონეთი)
სანტა კოლომა (ანდორა) 1:0 მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი)
ზლატე მორავცე (სლოვაკეთი) 3:1 ალმატი (ყაზახეთი)
ვოივოდინა (სერბეთი) 5:1 ჰიბერნიანსი (მალტა)
ფლორა (ესტონეთი) 0:1 ვოლერენგა (ნორვეგია)
სლავენი (ხორვატია) 6:2 ტეუტა (ალბანეთი)
ბეჟანიჯა (სერბეთი) 2:2 ბესა (ალბანეთი)
ჰიკ (ფინეთი) 2:0 ეტცელა (ლუქსემბურგი)
მიუპა (ფინეთი) 1:0 სტრეიმური (სან მარინო)
ნისტრუ (მოლდოვა) 1:1 ჰონვედი (უნგრეთი)
აკტობე (ყაზახეთი) 1:0 მატერსბურგი (ავსტრია)
მეტალურგსი (ლატვია) 1:1 დინამო (ბრესტი, ბელარუსი)
სკონტო (ლატვია) 1:1 დინამო (მინსკი, ბელარუსი)
B-36 ტორსჰავნი (ფარერები) 1:3 ეკრანასი (ლიტვა)
ჰელსინგბორგი (შვედეთი) 6:0 ტრანსი (ესტონეთი)
ლილესტრიომი (ნორვეგია) 2:1 კერინჩი (ლუქსემბურგი)
ომონია (კვიპროსი) 2:0 რუდარი (სლოვენია)
სლიმა (მალტა) 0:3 ლიტეძსი (ბულგარეთი)
კარმარტენი (უელსი) 0:8 ბრანი (ნორვეგია)
ჰეკენი (შვედეთი) 1:1 რეიკიავიკი (ისლანდია)
ნოვა გორიცა (სლოვენია) 1:2 რაბოტნიჩკი (მაკედონია)
არტმედია (სლოვაკეთი) 1:1 ზიმბრუ (მოლდოვა)
ვარდარი (მაკედონია) 0:1 ანართოსისი (კვიპროსი)
ზრინსკი (ბოსნია) 1:6 პარტიზანი (სერბეთი)
ბუდუჩნოსტი (ჩერნოგორია) 1:1 ჰაიდუკი (ხორვატია)
მტკ (უნგრეთი) 2:1 მიკა (სომხეთი)
რილი (უელსი) 3:1 ჰაკა (ფინეთი)
რიდი (ავსტრია) 3:1 ნეფთჩი (აზერბაიჯანი)
დანგანონ სვიფტსი (ჩრდ. ირლანდია) 1:0 სუდუვა (ლიტვა)
გლენტორანი (ჩრდ. ირლანდია) 0:5 აიკ (შვედეთი)
სენტ პატრიკსი (ირლანდია) 0:0 ოდენსე (დანია)
შიროკი ბრიეგი (ბოსნია) 3:1 კოპერი (სლოვენია)
ლიბერტასი (მალტა) 1:1 დროჰედა (ირლანდია)
კეფლავიკი (ისლანდია) 3:2 მიდტიულანდი (დანია)

## ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| შიმიცუ 0:1 რედინგი | არსენალი 3:0 გენჩლერი |
| ლიონი 3:1 რივერ პლეიტი | დენ ბოსხი 0:2 უიგანი |
| ლევსკი 3:0 ბრნო | ბრიუსელი 1:2 ბრედა |
| სპარტა 2:0 კიოლნი | რენი 1:0 ბრიუგე |
| კიკერსი 2:2 ფრაიბურგი | პარტიკი 2:0 ფოლკირკი |



# პიონჩანის მესამე ცდა

## ჯიუტი კორეელები მარცხს არ ეგუებიან

**მას შემდეგ,** რაც სამხრეთ კორეის პროვინცია კვანტოს სამთო კურორტი პიონჩანი 2014 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშების სამასპინძლ ბრძოლაში, ლამის ყველასთვის მოულოდნელად სოჭთან დამარცხდა, წაგებულნი ცხელ გულზე ამბობდნენ, მსგავსი ოცნებები, ალბათ, აღარ გვექნებაო, მაგრამ ახლა მათ აზრი შეიცვალეს. ირკვევა, რომ კვანტოს პროვინციის ხელისუფლება 2018 წლისთვის ბრძოლაში ჩაბმას აპირებს და ეს მათი მესამე ცდა იქნება.

პიონჩანი პირველად 2010 წლის თეთრი ოლიმპიადის სამასპინძლოდ ვანკუვერთან დამარცხდა. მაშინაც, ყველას ეგონა, კორეის ამ ქალაქს გამარჯვება ჯიბეში უდევსო, მაგრამ მსგავსი ისტორია ორიოდე კვირის წინათაც განმეორდა.

მართალია, 2018 წლის თეთრი ოლიმპიადის სამასპინძლოდ პიონჩანის კანდიდატურის წამოყენების საქმე საბოლოოდ ჯერ არ გადაუწყვეტიათ, რადგან სხდომაზე კვორუმი არ შედგა, მაგრამ უმეტესობა ამ ახალი ბრძოლის მომხრეა.

**ავთანდილ ტყვიშვილი**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია აბულაძე (?), ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ღარჯანია, გიორგი ვაშაკიძე
გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ ლოლუჯაშვილი, ბადრი კუთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლელა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხურიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge